



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A R S

1937 — № 133

მ ა რ ტ ი

1937 წ.

№ 133

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანიზაცია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი.

შ ი ნ ა ა რ ხ ი:

მეთაური—შავი ზღვის ჩაგრული ერები.
 ილია ნუცუბიძე—საბედისწერო გზით.
 ნ. ჟღერდანიას—ვეფხისტყაოსანი-ს საკითხები.
 რას სწერენ სომხური გაზეთები.

№ №—ყენევაში.
 პოლონური პრესა.
 საქართველოს ამბები.
 გ. წერეთელის ხსოვნის აღნიშვნა.

შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს ჩ ა ბ რ უ ლ ი მ რ ე ბ ი

მთელი ევროპის დიდი პრესა შემოირბინა, თავის დროზე, ერთმა სენსაციურმა ცნობამ, დაკავშირებით იტალიისა და თურქეთის საგარეო მინისტრების, ჩიანო და რუსტუ არასის, შეხვედრასთან მილანში, ვთებერვალს. ეს ცნობა ეხებოდა შავ ზღვაზედ მდებარე ქვეყნებს, რომელთა სვე ბედი თითქმის ხსენებულ მინისტრების ბაასის ერთ-ერთ საგანს შეადგენდა.

არ გაუგვლია სამ კვირას და «ტან»-ში მოთავსდა წერილი მისი კორესპონდენტისა რომიდან იმავე საგანზე. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ამ გაზეთის ინფორმატორი არის იმავე დროს ჩვენი დიდი მეგობარი ჟანტიზონი, ზედმიწევნით მცოდნე ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის და სხვა ქვეყნებისა, რა თქმა უნდა, მის მსჯელობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა მიეწეროს. საინტერესოა, ჟანტიზონი მიგვითითებს თვით წყაროზეც, საიდან გამოვიდა სენსაცია, და შემდეგ, როგორც თებერვლის ნომრიდან დაინახა მკითხველმა, ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმაც ხომ საყურადღებო ცნობები მოგვაწოდა იტალიის გაზეთებიდან.

ჟანტიზონი სწერს, რომ «გაზეთა დელ პოპოლომ» გამოაქვეყნა, მილანში შეხვედრის მეორე დღეს, ერთი წერილი, რომლის თანახმად, იტალიისა და თურქეთის მინისტრებს არ შეეძლოთ არ შეთანხმებულიყვნენ «შავი ზღვის და კავკასიის ერთა ამიერიდან დაუშვებელ მდგომარეობის შესახებ,

დიდი და კეთილშობილი უკრაინისა, ყირიმისა, საქართველოსა, აზერბაიჯანის გამო, ბოლშევიკურმა რუსეთმა ლალატით და ძალადობით რომ დაიკავა და დღესაც ტერორის ქვეშ ამყარდებოდა». წერილი დასძენდაო—განაგრძობს ჟანტიზონი, რომ ამ ხალხთა ვაებას გულგრილად ვერ შეხვდება თურქეთი, თუ გინდ რასული და თავდაცვის მოსახრებით, ხოლო იტალიას, გარდა თავდაცვისა, სამართლიანობა და ცივილიზაცია ამოძრავებსო.

ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა მართლა ეს კითხვა დასმული მილანშიო—აცხადებს ჟანტიზონი—და თვითონვე მიუგებს მაშინვე—მე არ ვფიქრობო. ის ასაბუთებს თავის აზრს ორი გარემოებით: ანკარას არ შეეძლო ასე რადიკალურად გაეწყვიტა მოსკოვთან და ახალმა თურქეთმა საბოლოოდ უკუაგდო რასული ანუ თურანული ოცნებანიო.

ფრთხილ საგულისხმობიერა ჟანტიზონის ეს განცხადება, და ჩვენც არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ მას, იმაში მაინც, რომ რუსტუ არასს არ ჰქონდა უთუოდ დავალება მოსკოვის წინამდებე რაიმე მოლაპარაკება ეწარმოებინა ჩიანოსთან. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მოსკოვსა და ანკარას შორის ძველი მეგობრობა სრულიად ურყევი დარჩა!

ამის შესახებ უფრო გარკვეულ პასუხს იძლევა მილიუკოვის გაზეთში ნემანოვი, რომლის ცნობები, როგორც ვიცით, მეტ ნაწილად სამინისტროების წყაროებს ემყარება. ის აშკარად ამბობს, რომ მოს-

კოვისა და ანკარას «დამოკიდებულება ძალზე დაქი-
მულია მონტროს კონფერენციის შემდეგო». და, მა-
რთლაც, იქ სრულიად აშკარად გამოჩნდა თურ-
ქეთის ცდა დაშორებოდა საბჭოებს და მიახლოე-
ბოდა ინგლისს.

ამ წლის დასაწყის მეორე დიდი ამბავიც მოხდა:
ინგლის იტალიის «ჯენტლმენს აგრიმენტი» და ამით
თითქო აღსდგა ამ ორი დიდი ქვეყნის შეთანხმებუ-
ლი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მიმართ. და
ეს მით უფრო დასაჯერებელია, როცა გვეხსენის, იტა-
ლია დღეს თუ ხვალ სრუტეების ახალ კონვენციას
ხელს მოაწერსო. მართალია, რომის განცხადებები ერთ
რუნჯერს აკეთებენ: ანკარამ უნდა შესცვალოს კონ-
ვენციის ის მუხლი, რომელიც საბჭოთა სამხედრო
გემებს გზას უხსნის ხმელთა შუა ზღვისაკენო. უან-
ტიზონი ფიქრობს, ეს შეცვლა სხვა ხელ-მომწერლე-
ბისგანაც არის დამოკიდებულიო, მაგალითად, ინგ-
ლისისგან.

მაგრამ რა საჭიროა ეს—ვიტყოდით ჩვენ—თუ
იქვე სხვა მუხლებიცაა, რომლის ძალით თურქეთს
ყოველთვის შეუძლია გააბათილოს რუსების ეგრედ
წოდებული ახალი უფლება, თან ის იწვევს, როცა
მოეპრიანება, მეგობარ ქვეყნების საზღვაო ძალებს
«სტუმრად» თავის ნაპირებზე? მაშასადამე, თავი
და თავია მეგობრული განწყობილება, რომელსაც
რომი და ანკარა ეძებენ და ამის მჭერმეტყველი სა-
ბუთი ხომ თვით მილანოს შესვედრამ მოგვცა.

გახსენეთ, როგორი იყო მათი დამოკიდებულე-
ბა ჯერ კიდევ შარშან, ვის არ ახსოვს, რა აურ ზაუ-
რი გამოიწვია რომში თურქეთის მიკედლებამ სანქ-
ციებზე. მაგრამ ამაზე ადრეც თურქეთის პრესა არ
მალავდა თავის აღელვებას იმის გამო, რომ მცირე
აზიის ყურეში იტალია გადაციცებით ამაგრებდა
დოდეკანოზის ერთ კუნძულს ლეროს. 1928 წლის მე-
გობრობის პაქტი, შეკრული ახლად განსვენებულ
ოსტენ ჩემბერლენის გავლენით, უკვე დავიწყებას
მისცემოდა და იტალია-თურქეთის დამოკიდებუ-
ლება აშკარა კრიზისის უახლოვდებოდა.

ამ დროს იფეთქა იტალია-ეთიოპიის ომმა და
ამის ერთ-ერთი შედეგი, როგორც ვხედავთ, მილანოს
შესვედრა იყო. აქ ი რუსტუ არასს, გარდა ძვე-
ლი მეგობრობის აღდგენისა, მეორე ამოცანაც ჰქო-
და დავალებული: იტალიის დაახლოება ბალკანეთის
ანტანტასთან. მართლაც, ხმელთა შუა ზღვის დაზა-
ვებით დაინტერესებული არიან არა მარტო იტა-
ლია, საფრანგეთი და ინგლისი, არამედ თურქეთი,
საბერძნეთი, იუგოსლავია და რუმინეთიც, ხოლო
ეს ოთხი სახელმწიფო ინგლისის თუ საფრანგეთის

ორბიტაში შედიან. მაგრამ მათზე თანდათან გავლე-
ნას ახდენს მოსკოვიც და, თუ დასცალდა, არ არის
გამორიცხული, რომ ძველი რუსეთის უპირატესო-
ბასაც დაიბრუნებს მთელს ბალკანეთის ნახევარ კუ-
ნძულზედ.


ეს კი საშიშროებას წარმოადგენს იტალიისთვის.
თუ მოსკოვ-ანკარას მეგობრობა ძალაში დარჩა და
ბალკანეთიც მოსკოვის «მფარველობას» დაუბრუნ-
და, მაშინ რუსის ფლოტის ხმელთა შუა ზღვაში შე-
მოქრა ადრინდელ წონასწორობის სრულს დარღვე-
ვას მოასწავებს იქ. ეს არ შედის არც იტალიის, არც
ინგლისის ანგარიშში, აი რატომ დააჩქარეს მათ
«ეგრემენტის დადება, მიუხედავად იმდენი შესლა-
შემოხლისა კიდევ გუშინ, ეთიოპიის გამო.

თუ ეს ზოგადი ხაზები გავითვალისწინეთ, განა
გასაკვირია, შავი ზღვის ქვეყნების კითხვაც რომ
წამოიჭრა? არა, ჩვენის ფიქრით. ცხადია, რუსტუ
არასი ენას ვერ დასძრავდა მილანოში, მაგრამ განა
ასევე ითქმის ჩიანოზე? მას ხომ რა ჰქონდა მოსკო-
ვის რიდი? განა მან არ შეკრა ნორიატთან ანტიკო-
მინტერნი, ხომ ვიცით, ვის ბრძანებას ასრულებდენ
ორივენი?

ეგეც არ იყო, რას ნიშნავს «გაზეტა დელ პო-
პოლოს» და მის შემდეგ იტალიის სხვა გაზეთების
ხმის ამაღლება უკრაინა-კავკასიაზე? იქ ხომ პრესა
ოფიციალურ წრეების ზრახვათა გამომხატველია.
სწორედ ამიტომ მოეპყრა ასეთი ყურადღებით მთე-
ლი ეგრობა ამ ცნობას. იყო ერთი გამონაკლისი და
ესეც მილიუკოვის გაზეთი: ნემანოვი კრინტს არა
სძრავს და ეს სიჩუმე კიდევ უფრო ნათლად ამტკი-
ცებს «მთლიან, განუყოფელ რუსეთის» მოციქულთა
საგონებელში ჩავარდნას.

ამრიგად, ერთხელ კიდევ მტკიცდება სრულიად
ნათლად, რომ რუსეთის უღელში მყოფ შავი ზღვის
ქვეყნების ბედი მჭიდროდ ვადაბმულია ხმელთა შუა
ზღვის თავისუფალ ქვეყნების ბედთან. აქ კი, რო-
გორც ვიცით, ყელამდე დაინტერესებული არიან
დასავლეთის სამი დიდი სახელმწიფო. ერთი მათ
შორის, იტალია სრულიად არ მალავს თავის ზრახ-
ვებს, ხოლო მათ განაღდება ის ცდილობს არა ია-
რადით, როგორც ბევრს კიდევ გუშინ ეგონა, არა-
მედ ახალ თურქეთთან შეთანხმებით. უკანასკნელიც
მშვენივრად ერკვევა ამ ახალ ვითარებაში და შედის
მოლაპარაკებაში რომთან სწორედ მაშინ, როცა
იტალიამ ანტიკომინტერნის პაქტი დასდო გერმან-
იასთან და ამან კიდევ იაპონიასთან!

მარტო ეს ფაქტი ხომ თავის თავადაც ლაღდება,
რომ თურქეთი იგრძნობს თავის მეგობრობის ბო-



ლოს საბჭოებთან და, მაშასადამე, მათგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწევა დასავლეთში. ცხადია, ამის შედეგი, ადრე თუ გვიან, არა მარტო «დამოკიდებულების ძალზე დაჰიმვა» იქნება მოსკოვსა და ანკარას შორის, არამედ მათი აშკარა გადამტერებაც. გადამტერება კი მოითხოვს, რომ თურქეთი იძულებული გახდება დიდის ყურადღებით მოეყრას კავკასიის ბედს, რომელიც კარგს არ უქადის მას, თუ ეს ერები რუსეთის უღელს ქვეშ დარჩენ ხვალაც. თურქეთის სასიცოცხლო ინტერესია, ვიტყვით ამას გადაჭრით, კავკასიის დამოუკიდებლობა, მისი კონფედერატულად ჩამოსხმა და ამ სახით საერთაშორისო კონცერტში შესვლა.

იჭვები ბევრია, განსაკუთრებით ჩვენი მეზობელ სომხების მხრით, ვაი თუ თურქეთმა მოინდომოს კავკასიის გადაჯირგალება, თუ რუსეთმა იგი დასტოვაო. ჩვენ არ გვჯერა ეს და აი რატომ. დღევანდელი

თურქეთი ოტომანთა იმპერია არ არის, ის ჩანს მუდმივად თავის ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში, მცირეა ტერიტორიალურად და მოსახლეობით კავკასიისას ძლივს აჭარბებს. როგორ გგონიათ, შეუძლია კი მას ძველი საიმპერიო ამოცანა დაისახოს? არა, რა თქმა უნდა, ამის სურვილიც არ უნდა ჰქონდეს, ამიტომ ეძებს დიდ მოკავშირეთ, ესენი კი დანტერესებული არიან შავი ზღვის ყველა ქვეყნების თავისუფლებაში, განსაკუთრებით კავკასიისა, რომელიც ბოლოს მოუღებს რუსეთის თარეშს ახლო და წინა აზიაში, და სამაგიეროდ აღადგენს ძველადანვე ცნობილ მის როლს პირდაპირი კავშირისა ორ ხმელეთ შორის ვაჭრობისა და კულტურულ ურთიერთობის გასაბმელად ყველას საკეთილდღეოდ.

აი რატომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ შავი ზღვა და იქ მდებარე ქვეყნები ევროპის აქტიურ უაღრეს პოლიტიკის სფეროში შედიან.

ს ა ბ ე ღ ი ს წ ე რ ო ბ ზ ი თ

კაცობრიობა მძიმე ავადაა. ამას ყველა გრძნობს. კალაპოტიდან ამოვარდნილი მსოფლიო ამოდ ეძებს ნავთსაყუდელს. უიალქნო გემივით იგი ხან აქეთ ეხეთქება და ხან იქეთ. ომმა დააქცია ქვეყანა, გააპარტახა მორალურად, ნივთიერად. კიდევ მისკენ ილტვიან. ყველა საშხადისშია, ეშხადებიან სასწრაფოდ, დაუზოგავად, მზადება ყოველ დარგში, ყოველ მიმართულებით. პოლიტიკოსნი, მორალისტნი, მეცნიერნი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებანი,—ყველა ერთი მიზნით, ერთი აზრითაა აღტყინებული, მომავალ ბრძოლებიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ამ მომავალ ბრძოლებისთვის ლაგდება ეროვნული ენერგია, იწვრთნებიან ერის ჯანსაღი ელემენტები, ეწყობა ქვეყნის ეკონომიკა, მუშავდება საზოგადოებრივი აზრი, ყალიბდება სახელმწიფო აპარატი.


ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა «თეთრი წიგნი», სადაც გადაშალა ის გიგანტური ღონისძიებანი, რომელსაც იგი მიმართავს დიდი ბრიტანეთის ინტერესების დასაცავად. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში განხრახუნდეს არა ნაკლები 150 მილიარდი ფრანკის დახარჯვა შეიარაღებაზე. უძლიერესი ქვეყანა ფინანსიურად, ტექნიკურად, ინდუსტრიალურად, ნედლი მასალით—მთელ თავის ენერგიას სამხედრო საშხადისისაკენ მიმართავს. ეს ახალი და მეტად თვალსაჩინო ფაქტორია როგორც ევროპის, ისე საერთაშორისო სინამდვილეში.

იტალია კარგად ხედავს, რომ ინგლისმა უკან დაიხია, ეთიოპიის გამო ბრძოლა არ მიიღო, თანახმად თქმულებისა «სადაც არა სჯობს, ვაცლა სჯობს», მაგრამ მარცხის გამოსწორებაზე იგი მუდამ ფიქრობს, შესაფერისად ეშხადება და ხელსაყრელ მომენტში სათანადოდ ამოქმედდება. ამიტომ იტალია საგანგებო სიფხიზლით ადევნებს თვალყურს ინგლისის შეიარაღებას. ფაშისტური უზენაესი საბჭო აცხადებს: იტალიის სამხედრო მომზადება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ყოველივე შესაძლებლობა, შორეულიც კი, შეიარაღების შეზღუდვისა ამიერიდან საბოლოოდ გამორიცხული უნდა იქნეს. ამიტომ ადგენს ერის ყველა აქტიურ ძალთა 18-დან 55 წლამდის სრულ მილიტარიზაციას.

საფრანგეთში 1936 წლის ბიუჯეტის 26,95 პროცენტი სამხედრო საჭიროებას მოხმარდა. ეს ხარჯი წელს კიდევ უფრო გადიდებულია.

გერმანიის მაქსიმალური შეიარაღება უდავო ფაქტია. გერმანიის სიტყვები—კარაქს ზარბაზნები გვირჩევენია მეტად დამახასიათებელია. გერმანიის ბიუჯეტი საიდუმლოებითაა მოცული. ამიტომ ძნელია სისწორით თქმა, რა ადგილი უკავია იქ სამხედრო ხარჯებს. ჩერჩილის ანგარიშით, გასულ წელს გერმანიამ დახარჯა შეიარაღებაზე დაახლოებით 100 მილიარდი ფრანკი.

საბჭოთა რუსეთში ხომ ყველაფერი სამხედრო მზადებას ეწირება. კოლექტივიზაცია ამ მიზნით ჩა-



ტარდა. ამავე მიზნითვე ტარდება ინდუსტრიალიზაცია.

არაჩვეულებრივი სისწრაფით და ინტენსივობით აღიდებენ სამხედრო ძლიერებას ამერიკა და იაპონია და ასე ყველა, მთელი მსოფლიო, მილიტარისტული ცხელებითაა შეპყრობილი. ომი კარზეა მომდგარი. ამას ყველა ხედავს. თუ დღეს მსოფლიოს ცეცხლი არ უკიდია, თუ მისი საუკეთესო ქმნილებანი ფერფლად არაა ქცეული და კაცობრიობა სისხლის ოკეანეში არ იხრჩობა,—ეს სამი გარემოებით აიხსნება: ერთი,—სათანადო მზადება არ დამთავრებულა; მეორე,—მომავალი საერთაშორისო შეჯახება ისეთი ძლიერი იქნება, რომ დღევანდელი კაცობრიობის კედლები მას ვერ გაუძლებს, იგი დაიმსხვრევა. ამ სახედისწერო პერსპექტივის შესაძლებლობის წარმოდგენა ჟრუანტელს გვრის ყოველ ქუთუში მყოფ ადამიანს, დიდია ის, თუ პატარა, ქვეყნის გამგე, თუ უბრალო მომაკვდავი. ეს ინსტიტუტური შიში საერთო დამხობისა ანელებს ომის მოტრფილეთა ენერგიას, აფრთხილებს მესაქეთა ნაბიჯებს. მესამე გარემოება, რომელიც დღეს საერთაშორისო ურთიერთობაში სათანადო როლს თამაშობს, არის დემოკრატია. დემოკრატია პროგრესის შვილია, ადამიანის გაადამიანების ნაყოფია. ამიტომ იგი ბუნებით პაციფისტია, ომის ორგანული მტერია. «ასჯერ გაზომე და ისე გასჯერი»,—ეს ბრძნული ყოფაქცევა ახასიათებს დღეს იმ ქვეყნებს, სადაც ხალხის ხმას კიდევ აქვს გასაავალი.

რამ არიდარია მსოფლიო, რამ ამოავდო კაცობრიობა კალაპოტიდან, რად მიეჭანება იგი თვითგანადგურებისაკენ, რა გარემოებას შეუძლია მისი ხსნა, მისი ჯანსაღი გადახალისება?

საერთო ანომალიის მიზეზები იყოფა ორ კათეგორიად: ერთი დიდი ომის მემკვიდრეობა, მეორე მისგან დამოუკიდებელი. ოთხი წლის განმავლობაში ურთიერთ უღეტყვამ, დაუზოგავმა ფლანგვამ ერთა ნივთიერ და მორალურ დოვლათისა შეარყია მსოფლიოს ეკონომიკა, წარმოშვა ავადმყოფური სულისკვეთება. შრომის ინტერნაციონალურმა ბიურომ ორი თვის წინ გამოაქვეყნა ცნობა, რომლის მიხედვით 1930—1934 წ.წ. განმავლობაში მსოფლიო პროდუქციას, კომერციას და ტრანსპორტს კრიზისის გამო დაუკარგავს 149—176 მილიარდი დოლარი. მსოფლიო ღარიბდება. არსებული დოვლათი კი არა მიზანშეწონილად და უაზროდ იფლანგება. დიდი ნაწილი ამ დოვლათისა, როგორც ზევით დავინახეთ, ომის სამზადისს ხმარდება. დანარჩენი უსამართლოდ, არა მოთხოვნილების თანახმადაა განაწილებული

როგორც ერთა შორის, ისე თვით ერებში შიგნით. ერთს ზედმეტი აქვს, მეორეს კი საარსებო საშვალეობა არ მოეპოვება. ეს სოციალ-ეკონომიური კონტრასტები, რასაკვირველია, ომის წინადაც არსებობდნენ, მაგრამ ომის შემდგომმა საერთო არეულარევემ მეტად გამაწვავა. თუ რამდენად დაავადებულია დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა, ამის ნათელ სურათს იძლევა შემდეგი სტატისტიკური ცნობები. გასულ წელს შეერთებულ შტატებში გამოაქვეყნეს სია იმ საქონლისა, რომელიც განადგურებულ იქნა ბაზრის უქონლობის გამო და ფასების აწევის მიზნით: ბრაზილიაში გასულ მარტს (მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში) მოსპობილ იქნა 7.750.000 ტონარი ყავა; შეერთებულ შტატებში პირველ ტრიმესტრში მოსპვეს 6.200.000 ლორი, 2.000.000 ტონი სიმინდი; ლოს-ანჯელსში ღვრიდენ დღეში 200.000 ლიტრ რძეს, ხარტფორდში 20.000; რომ კარაქის პროდუქტია 15 პროც. შეემცირებიათ, დასოცილ იქნა 600.000 ძროხა; კალიფორნიაში აგვისტოს განმავლობაში მილიონ ნახევარი ფორთოხალი იქნა გადაყრილი ზღვაში, 10.000 ჰექტარი მარწყვი მოუკრეფელი დასტოვეს და სხვ. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც მილიონობით უმუშევრები შიმშილს განიცდიან. ამაზე მეტი აბსურდული და არაადამიანური მდგომარეობის წარმოდგენა ძნელია.

დიდმა ომმა, გრდა ეკონომიური კრიზისისა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიდი მორალური კრიზისი გამოიწვია. კაცობრიობა დაიღალა ხანგრძლივი ბრძოლებით, კრიზისებით. ადამიანმა დაკარგა ხალისი ცხოვრების. გამრავლდა თვითმკვლელობა, სულით ავადმყოფთა რიცხვი. თუ წინად თავისუფლება მომხიბლავი იყო, მისთვის იბრძოდნენ, დღეს მას ებრძვიან.

დიქტატორები მოდაშია. ეს საერთო მორალური დეპრესია შესაფერისს შედეგს იძლევა: კაცობრიობა ქვეითდება, მცირდება მისი ღირებულებათა აქტივი. ასეთი მდგომარეობა კი წყაროა მრავალგვარი უბედურების, რომლის მოწამენი ჩვენ დღესა ვართ.

მეორე კათეგორიის მიზეზად, რომელთაც არიდარიეს მსოფლიო, ჩვენ მიგვაჩნია ტექნიკის საზღაპრო განვითარება და დემოგრაფია. ტექნიკის საზღაპრო განვითარებამ ძირიანად შესცვალა მსოფლიო მექანიკა. დედა მიწა ძლიერ დაპატარავდა, მანძილი და დრო თითქმის დაძლეულია. მიწა დაქუცმაცებული პატარ პატარა, შემოზღუდულ, ერთი მეორედან ჩაკეტილ ნაჭრებად,—ერთ მთლიან სახელად იქცა. მრავალ ლოკალურ უმოძრაო ცენტრების ალაგას



ერთი უნივერსალური, მოძრავი ცენტრი იშვა. ეს ცენტრი მსოფლიო ძალთა შეჯახების ფოკუსია. აქ იქსოვა და ფერადდება საერთაშორისო სახე. იმისდა მიხედვით, თუ რომელი, რა ხასიათის და შინაარსის, რა ინტენსივობის და გაქანების ძალები იმარჯვებენ საერთაშორისო სარბიელზე, გამოიყურება მსოფლიო: იგი მომდინარია, ან მოწყვნილი, მშვიდი, ან აღელვებული, განიცდის რღვევის, ან შემოქმედების პროცესს.

დრო და არე ყოველი მოვლენის პირველი და ძირითადი პირობაა. ამიტომ დროს და არეს მაქსიმალური დაძლევა მაქსიმალურად ცვლის მსოფლიოს სახეს. იქმნება ახალი პრაქტიკული გარემოება, იბადება ძალთა ახალი პოტენცია, ახალი ურთიერთობა. ამ ახალ პრაქტიკულ ნიადაგზე ვენდება ახალი მიზნები და მოქმედების გეგმები. საუბედუროდ, მსოფლიოს მაქსიმალურ ტექნიზაციას მისი შესაფერისი მორალიზაცია არა სდევს თან. ტექნიკის პროგრესს არ მოაქვს მორალის პროგრესი. წინამდებ, რამდენად წინ მიდის ტექნიკა, იმდენად უფრო თავხედდება კაცობრიობა, იმდენად უფრო ეკარგება მას რაინდული სული. მსოფლიოს აფეთქება ერთ წერტილზე თითის დაჭერით, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შეუძლებელია. ტექნიკის განვითარების საიდუმლოებანი ამას მომავალში შეუძლებლად არ ხდებიან. თუ ტექნიკის პროგრესთან პარალელურად მორალურ პროგრესს არ ექნა ადვილი, კაცობრიობას, უეჭველად, კატასტროფა მოვლის.

გარდა მორალური კორელაციისა აღსანიშნავია აგრეთვე ტექნიზაციის ეკონომიური კორელაცია. დედამიწის დაპატარავება, მისი ერთ მთლიან ერთეულად ქცევა მოითხოვს ეკონომიურ კარჩაკეტილობის მოშლას, უნივერსალურ ეკონომიურ-ფინანსურ სისტემის შექმნას. ჩვენ კი ვხედავთ სულ წინააღმდეგს. 1914 წლის წინად ევროპაში იყო 19 საბაჟო სისტემა და ფულის 15 სისტემა, დღეს კი 29 საბაჟო სისტემა და 27 ფულის. ეკონომიურ კარჩაკეტილობის რეჟიმი დღევანდელ პირობებში პირდაპირი გზაა შეიარაღებულ კონფლიქტებისაკენ. შემდეგი ფაქტი, რომელიც აფორიაქებს დღეს მსოფლიოს არის დემოგრაფია. დემოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ერის, ისე საერთაშორისო ცნობებებში. მრავალრიცხოვანი ერი, თუ სხვა სათანადო პირობები ხელსაყრელია, ძლიერია პოლიტიკურად და მილიტარულად. ეკონომიკაში არ არის მოვლენა, სადაც დემოგრაფიის ზედგავლენა ძლიერ საგრძნობად არ იყოს. ვაჭრობა, მრეწველობა, მუშა ხელი, მისი ხელფასის ნორმა, კაპიტალის ფორმაცია, მისი სარგებელი, გადასახადთა შემოსავალი—ყველა ამ საკითხებში დემოგრაფია თვალსაჩინო როლს თამაშობს. დემოგრაფიას აქვს აგრეთვე დიდი გავლენა ერის ფსიქოლოგიაზე, მის მორალზე, მის ტემპერამენტზე. მსოფლიოს დემოგრაფიული სურათი, უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ასეთია. მთელ დედამიწაზე მცხოვრებთა რიცხვი 1760 წ. უდრიდა 750 მილიონს, 1911 წელს კი 1.650 მი-

ლიონს, ე. ი. 151 წლის განმავლობაში გაიზარდა 120 პროც.; ევროპაში 1760 წელს იყო 130 მილიონი მცხოვრები, 1911 წელს 450, გაიზარდა 246 პროცენტ. დღევანდელი მსოფლიო ასეთ სურათს წარმოადგენს:

	კვად. კილ. მცხ. რაოდ.	მოსახ. სიმუ. (მილიონები)	მოსახ. სიმუ. (კვად. კილ.)
აფრიკეთი	30,5	143,3	4,7
ჩრდ. ამერიკა	25,7	157,5	6,1
სამხ. ამერიკა	18,7	77,6	4,1
აზია	41,6	965,8	23,2
ევროპა	10,1	472,4	46,9
ოკეანია	11,0	73,4	6,6
სულ	137,6	1.899 (დაახ.)	13,7

საინტერესოა დემოგრაფია ევროპის მთავარ სახელმწიფოების და აზიაში იაპონიის. იგი შემდეგია:

	მცხ. რაოდ. (ათასები)	კვად. კილ. (ათასები)	მოსახ. სიმუ. (კვად. კილ.)
--	----------------------	----------------------	---------------------------

გერმანია	66.200	468.7	139
საფრანგეთი	41.835	551	76
იტალია	42.000	310.1	133
რუსეთი (ევრ.)	130.000	4.350	29
რუსეთი (აზიუ.)	35.700	17.000	2
იაპონია	64.450	382	168

დღეს მთელ დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის დაახლოებით 1.890 მილიონს (25 წლის განმავლობაში მიემატა 240 მილიონი), აქედან ევროპაზე მოდის 472,4 მილიონი (25 წლის განმავლობაში მიემატა 20 მილიონი).

გულდასმით გადახედვა მოყვანილ ციფრების მოგვცემს გასაღებს თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ კონფლიქტებისას. დედამიწა და სიმდიდრე უთანასწოროდ და უსამართლოდაა განაწილებული. აქედან წარმოშობილ პრობლემების გადასაჭრელად ემზადებიან ომისთვის. წარსულმა ომმა დააქცია ქვეყანა, გააპარტახა იგი ნივთიერად, მორალურად, არსებული კონფლიქტები კიდევ უფრო გაამწვავა, გააღრმავა. კიდევ მისკენ ილტვიან. საბედისწერო გზაა. გამოსავალი ერთად ერთია. ყოველ ერს, დიდია ის თუ პატარა, უნდა მიეცეს არსებობის და წარმატების უფლება და საშვალეებანი. უნდა შეიქმნეს, ინტერნაციონალურ მასშტაბში, სათანადო ორგანოები, რომლებიც გამოვლენ რა ამ ძირითად დებულებიდან, მოავარებენ წარმოშობილ კონფლიქტებს. ძალადობა დაგმობილ უნდა იქნას, მოძალადე დაბმული, სანამ ეს ასე არ იქნება, კაცობრიობას ბედი არ უწერია.

ილია ნუგუმიძე.

«ვეფხისტყაოსანი»-ს საკითხები

2. ავტორის ვინაობა.

თუკი პოემის ტექსტზე ამდენი გაუთავებელი დავა ჩვენს მწერლობაში, კიდევ მეტი დავა გამართული ავტორის ვინაობაზე. ბ. აბულაძის სიტყვით «ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა არავითარი სარწმუნო ცნობა პოეტის ვინაობისა და ცხოვრების დროის შესახებ»; ხოლო «ერთათ ერთი ახალი მოსაზრება პოეტის პიროვნების შესახებ ეკუთვნის ბ. პ. ინგოროვას»-ო^{*)}. აქედან ცხადია, რომ პოეტის ვინაობაზე ერთი მხრით სრული სიცარიელეა, მეორე მხრით გადაჭრული შეხედულება გამოთქმული ბ. ინგოროვას მიერ, რაიცა ჯერ კიდევ არ არის საყოველთაოდ მიღებული.

რა მეთოდით უნდა მიუდგეთ ამ სადაო საკითხის გამორკვევას? რა გვიანტერესებს პოეტის ვინაობაში?

არის ერთათ-ერთი მეთოდი, ან ისტორიულად გადმოცემული ცნობები და, თუ ასეთი მატიაზე არ მოიპოვება, თვით პოემა. რუსთველზე პირველი წყარო დუმს, რჩება მეორე საშუალება. აქ ჩვენთვის საყურადღებოა არა უეჭველად პოეტის გვარი და ჩამომავლობა, არამედ უმთავრესათ მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისი ალაგი სოციალურ იერარქიაში და იდეურ მიმდინარეობაში. რას იცავდა, ვის ებრძოდა, რა წყობას და აზროვნებას ამაგრებდა—ამის პასუხი იძლევა პოეტის ნამდვილ ბუნებას და ვინაობას. ე. ი, არის ორი საკითხი გამოსარკვევი—პოეტის პირადობა და მისი ალაგი საზოგადოებაში.

ჩვენს ავტორი თავის თავს გვაცნობს წინასიტყვაობაში: «მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა, ამად არი». ის არის რუსთვიდან. ასეთი დასახელება თავის თავისა საშუალო საუკუნეში ჩვეულებათ იყო შემოღებული. ავტორი თავის ნაწარმოების რამელიმე ალაგას, თავში, შუაში, ან ბოლოში, უეჭველად თავს გვაცნობდა. მაგ. საფრანგეთის დიდებული ძველი პოემა—სიმღერა როლანზე—თავდება ასე: აქ წყდება ლექსი, რითაც ტურლოდუს თავებს. აქ სჩანს ავტორის პირადობა, თუმცა ძლიერ გაკვრით; ამიტომ საფრანგეთის კრიტიკას დღემდის ვერ გაურკვევია—ეს ტურლოდუს არის დამწერი თუ გადამწერი. მაგრამ ფაქტია ის რომ ჩვეულება თავის თავის დასახელებისა ტექსტში იყო დაშვებული. შესაძლებელია ასეთი ადათი გადმოიღეს სამოციქულოდან, სადაც მაგ. პავლე ყველა თავის ეპისტოლეს თავისი ვინაობის გაცნობით იწყებს. მაშასადამე ვტყაოსანში მოთავსებული ტაეპი ავტორის ვინაობაზე სავსებით შეეფერება სინამდვილეს, მიღებულ სამწერლო მეთოდს.

თუ კი ფრანგ პოეტზე შეიძლება დავა იმამე თუ ის დამწერი თუ გადამწერი იყო, რუსთველზე კი

ასეთი დავა უადგილოა, რადგანაც თვითონ კატეგორიულად აცხადებს: «დავჯე რუსთველმა გავლექსე», «ვპოვე და ლექსად გადავთქვი» და სხ. ე. ი. ის არის უეჭველი ავტორი, დამწერი და არა გადამწერი.

ამავე დროს პოეტი თავის ვინაობას აცხადებს არა გვარის და ჩამომავლობის მიხედვით, არამედ იმ ადგილას სადაც დაბადებულია, აღზრდილი ან და უმჯიმედია. ის არის რუსთვიდან. ნიშნავს ეს იმას რომ რუსთავი მას ეკუთვნოდა, როგორც მას ფიქრობს ბ. პ. ინგოროვსა, თუ ნიშნავს მხოლოდ მის სამშობლოს?

ჩვენში, ისე როგორც მთელ ევროპაში, მებატონენი და დიდგვარიანები ხშირათ გვარის ალაგას ხმარობდენ თავისი მამულის სახელწოდებას, თავისი რეზიდენციის მიხედვით. ასეთი წესი იყო სავსელი სიო სფეროშიაც. მაგრამ ასეთი წესი უეჭველად ასეთი მნიშვნელობით იხმარებოდა, უეჭველად მებატონებას ნიშნავდა? ბ. ინგოროვსა სწორეთ ასე ფიქრობს და აქედან სკენის—რუსთველი რუსთავის მფლობელი იყოფო. ეს ჰიპოტეზა მოკლებულია სიმართლეს, ე. ი. თავისი ბინადრობის დასახელება ყოველთვის არ ნიშნავდა თავისი მებატონების აღნიშვნას. საზოგადოთ ჩვენში და დასავლეთის მწერლობაში ძველთაგან შემოვიდა ადათი ავტორმა აღნიშნოს თავისი ვინაობა არა-გვარით, არამედ საშობლო ადგილით. მეცამეტე საუკუნის დამდეგს დაწერილ ტრისტან დაიზოლდოს ავტორი თავის თავს უწოდებს გოდფრიდ სტრასბურგელი; მისი ბიოგრაფია ცნობილია, ის იყო სტრასბურგის მცხოვრები ბურჟუაზიის წრიდან და არა ამ ქალაქის ბატონი. ჩვენში, მოსე ხონელი ნიშნავს მის მხოლოდ წარმოშობის ადგილს და არა იმას, რომ მას ხონი ეკუთვნოდა. აბო თფილელი, გიორგი მთაწმინდელი, შავთელი და სხ. მხოლოდ დაბადების ან მოღვაწეობის ადგილს აღნიშნავს. ასეთი ჩვეულება პსევდონიმების გამოგონებისა დღევანდლამდე დარჩენილია მწერლობაში ყოველგან. რასაკვირელია ამ მწერალთა შორის ალბათ იყვენ ისეთი პსევდონიმებიც, რომელნიც მართლა აღნიშნავდენ მათ მამულს. მაგალ. სარგის თმოგველი, შეიძლება იყოს თმოგვის ბატონ-პატრონიც.

მართო ეს მოსაზრება არ სურის საკითხს ავტორის ვინაობისა; ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ვეფტყაოსანის ავტორი შეიძლება ყოფილიყო ან რუსთავის მებატონე ან და რუსთავში დაბადებული. ამ ორ ჰიპოტეზას შორის რომელია მართალი—ეს ამოცანა უნდა გადასურას პოემის შინაარსმა და მეთორმეტე საუკუნის სოციალური ურთიერთობის გათვალისწინებამ.

პ. ინგოროვსა აზრით შოთა «ეკუთვნოდა სამეფო კარის წრეს, სამეფო უმაღლეს არისტოკრატიას... ჰერეთის ერისთავი შოთა, ჰერეთის ბაგრატიონთა შთამომავალი, არის იგივე შოთა რუსთავე-

^{*)} იხ. ი. აბულაძის მე-26 გამოცემა ვეფხისტყაოსანისა, 1926 წ.



ლი». რამდენათ შეეფერება ეს აზრი თვით პოემაში გატარებულ პოლიტიკურ მიმართულებას და მაშინ არსებულ წოდებათა დამოკიდებულებას?

ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ საშუალო საუკუნეში და მის წინ საზოგადოება იყოფოდა ერთიმეორისაგან მკაცრათ გაყოფილ ჯგუფებათ, წოდებათ და ხელობათ. ამათ შორის მთავარი იყვენ მემარნი ანუ იარაღის ხალხი (აზნაურობა)—და მიწის მუშაკნი ანუ გლეხობა. პირველი იყო გაბატონებული, მართველი წოდება და თავის პრივილეგიებს სასტიკათ იცავდა. ამავე დროს მეფის და ერისთავთა კარზე იყვენ სხვადასხვა მოხელეობა, აღმასრულებელი ძალა, რომელიც თავიანთ უფროსებს ემორჩილებოდა. ამათ შორის საპატიო ადგილი ეკირა მწიგნობართა წყობას, დამორჩილებული პირველი მინისტრი ჭყონდიდელისადმი და აგრეთვე მდივნებს, წოდებულს «კალმის ხალხათ». ყველა ამ დარაზმულობას ქონდა თავთავისი საკუთარი გარეგანი გამოხატულობა, იცვამდენ სხვადასხვაირათ დაატარებდენ თავისი მდგომარეობის ნიშანს. მწიგნობართა ნიშანი იყო საწერელი, «კალმის ხალხის» კალამი და სხ. ესენი გამოდიოდენ უმთავრესად დაბალი წოდებიდან, ღარიბი აზნაურების თუ სხვაწრეებისაგან და თავისი პირადი ნიჭით და ცოდნით აღწევდენ მოხელეობის კარიერას.

ამავე დროს, ამ მწიგნობართა და კალმოსნებისაგან დგებოდა მთელი გუნდი დიდი-კაცების მებოტბეთა, მელექსეთა. შემსხმელთა, რომელნიც მეთორმეტე საუკუნეში ჩვენში განსაკუთრებით ცეხს წარმოადგენდენ. ესენი თავის მხრივ იყვენ თავიანთი უფროსების განკარგულებაში. ასეთი წყობა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ყოველგან მთელს ევროპაში და აზიაში. ყველა სასახლეს ყავდა თავისი მაქებარნი და მწიგნობარნი. ყოველგან იარაღის ხალხს ადებულნი ყავდა კალმის ხალხი; ეს ხელობა მიაჩნდათ დამამკირებელ საქმეთ, განსაკუთრებით კი მელექსენი; შაირობა ყველა ხელობაზე დაბლა იდგა. ამით აიხსნება რუსთაველის ცდა აქოს ეს ხელობა და ასწიოს მისი პრესტიჟი. მისთვის «შაირობა სიბრძნისა ერთი დარგი». მიუხედავათ ამისა ჩვენში დღესაც კი მწერალს და პოეტს მოცილილ კაცს ეძახიან; რა იქნებოდა რვა საუკუნის წინ ადვილათ წარმოსადგენია.

აი ასეთ საზოგადოებრივ წყობაში, ხელობათა მკაფიოთ დანაწილებაში და შესაფერ ხენ-ჩვეულებაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე დიდი გვარიანი, ისიც მეფის გვარის და ჰერეთის ერისთავთა-ერისთავი ტოვებდეს თავის პრივილეგიებს, ეშვებოდეს კალმის ხალხამდე, ეწერებოდეს მგოსანთა ცეხში, იცვამდეს მდაბიურათ და ნიშნათ ატარებდეს კალამს? საკმარისია ეს საკითხი დაისვას, რომ ის უარყოფითი გადაიჭრას. მთელ საშუალო საუკუნეში ყოველგან ხმალის ხალხისათვის კალმის ხალხათ გადაქცევა იყო მიჩნეული დიდ სასიოცხო საქმეთ. არისტოკრატია მისდევდა სამხედრო ხელობის შესწავლას და არა განათლების მიღებას. ეს იყო საყოველთაო მოვლენა და საქართველოც მას სავსებით ემორჩილებოდა. მაგრამ დაუშ-

ვათ, ჰერეთის ბატონი არც ცეხში შესულა, არც მწიგნობართა შორის გადაწერილა, რუსთაველის არსებული სურათით თავისი ჩაცმულობით და კალმით ყალბია; ის იჯდა თავის ტახტზე და გასართობათ სწერდა ლექსებს, რომელთა შორის ვეფხის ტყაოსანიცაა. ასეთ ჰიპოტეზას სავსებით არღვევს ტექსტი. აქ სწერია: «მიბრძანეს მათდა საქებრათ თქმა ლექსებისა ტკბილისა; ქება წარბთა და წამწამთა, თმთა და ბაგე-ტკბილისა». ვის შეეძლო ასეთი ბრძანება მიეცა პოეტისათვის? რასაკვირვლია მის უფროს, რომლის მორჩილებაში ის ირიცხებოდა. ჰერეთის ერისთავის უფროსი იყო ერთთერთი პირი—მეფე; სხვა ბრძანებელი მას არ ყოლია. ეს სავსებით გამორკვეულია ისტორიაში. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ თამარ მეფემ მას უბრძანა, შემაქე, აქე ჩემი წარბი და წამწამიო! ჰიპოტეზა სრულიად დაუშვებელი და შეურაცხყოფელი თამარისა. ამ ქალის იშვიათი მორალური თვისებანი, მისი სათნო და თავდაბალი ხასიათი იმდენათ ცნობილია, რომ ყოველივე ასეთ ჰიპოტეზას ძირშივე სპობს. ეკატერინე მეროცევი არ უბრძანებდა თავის ტრეტიაკოვსკის შემაქელს. ცხადია, პოეტის ბრძანებელი მეფე არ იყო, ხოლო სხვას არავის შეეძლო ასეთი დაცვეთა მიეცა ჰერეთის ბატონისათვის. ისტორიიდან ვიცით, რომ «ერისთავთა-ერისთავს ქონდა მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა»; ამათ მთავრათ «შეიძლებოდა ყოფილიყო და იყო კიდევ მხოლოთ ერისთავთა-ერისთავი. შემდგომათ მეფისა მისი იყვენ მორჩილნი» და სხ. (ჯავახიშვილი). მაშასადამე ჰერეთის მფლობელი ანუ ერისთავთა ერისთავი ისეთი დიდი კაცი ყოფილა, რომ მას მორჩილებდა მთელი ჰერეთის არისტოკრატია, იყო მეფის შემდეგ პირველი პიროვნება და ცხადია ის ვერ იქნებოდა მელექსეთა და მებოტბეთა შორის. თამარის დროს ასეთი დიდი თანამდებობის პირნი ბევრი არ იყვენ, მათი რიცხვი რვას არ აღემატებოდა; თავის ქვეყანას განაგებდენ არა დანიშნებით, არამედ მემკვიდრეობით (იქ).

ამნაირათ, უდაოთ უნდა იქნას აღიარებული ის, რომ ვეფ. ტყაოსანის ტექსტი პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსთაველის დიდ-გვარიანობას, მის დიდ თანამდებობას და არისტოკრატიულ ჩამომავლობას. ამ დებულების წინააღმდეგ შეიძლება იქნას წამოყენებული ერთთ-ერთი საბუთი: ტექსტის სიყალბე, წინასიტყვაობის ვილაც მიმბაძველების მიერ შეთხზვა. მართალია ეს საბუთი მოკლებულია ყოველივე საბუთიანობას, რის შესახებ ჩვენ სხვა ალაგას ვრცლათ მოვილაპარაკეთ. მაგრამ დაუშვათ მაინც ერთი წუთით ეს მომინებება და მოვინახოთ სხვა, ამაზე უფრო მჭრელი და ურყევი დამოწმება. და სწორეთ ასეთი დამამტკიცებელი საბუთი მოიპოვება თვით ვეფხის ტყაოსანში, მის უდაო ნაწილში.

სამწუხაროთ, პოემის მკვლევარნი მას აკავშირებენ ყოველნაირ ძველის ძველ უცხო ნაწერებთან, სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრებასან და მათ იდეოლოგიასან. არ აკავშირებენ მხოლოდ საქართველოს ცხოვრებასან, მის ისტორიასან და მდგომარეობა-



სან. რუსთაველი უპასუხებს არა ქალდელოთა და სუმარელთა ამოცანას, არა იაფეტურ თუ მატრიაქალურ კულტურას, არამედ იმ საქირ-ბოროტო საკითხებს, რომელნიც ქართველი ერის დღის წესრიგში იდგა მე-11—12 საუკუნეებში. რა საკითხებია ეს?

ქართლის მეფეებმა დაიწყეს საქართველოს გაერთიანება, ქვეყნის ნაციონალური ერთობის, ერთი ერის შექმნა. მათი მოწინააღმდეგე, ერის დანაწილების და დაქსაქსვის მომხრე იყო გაბატონებული წოდება, დიდგვარიანი აზნაურობა, არისტოკრატია. ამ ორ ტენდენციას შორის გაიმართა სამკვტრო სასიცოცხლო ბრძოლა, რაიცა ასე ჩინებულათ აქვს აწერილი ჯავახიშვილს თავის «სამართლის ისტორიაში». აი ამ ბრძოლის რამდენიმე მომენტი. ბაგრატ მესამემ 1010 წელს დაიპყრო კახეთ-ჰერეთი და იქ თვით დანიშნა ერისთავთა ერისთავი. ამით გააუქმა იქ მეფობა და შემკვიდრებობითი ერისთავობა. სამაგიეროთ ბაგრატის გადაცვლით ისარგებლა იქაურ არისტოკრატებმა, აუჯანყდა გიორგი პირველს, გააძევა დანიშნული ერისთავები და აღადგინა ძველი წესი—დამოუკიდებლობა საკუთარი მეფით. 1104 წ. დავით აღმაშენებელმა დაიპყრო კახეთ-ჰერეთი ხელმეორეთ და შეუერთა ქართლს. ერისთავთა ერისთავთა დასტოვა დამოუკიდებელი ჰერეთის ბატონი გრიგოლ ბაგრატიონი შვილებითურთ. მაგრამ ვინაიდან ესენი არ ურიგდებოდენ შექმნილ მდგომარეობას, 1117 წელს მეფემ დაატყვევა გრიგოლის ძენი ასად და შოთა და აიღო მათი ციხე გიში. ერისთავთა-ერისთავი დანიშნა მეფის მიერ. სამაგიეროთ არისტოკრატებმა შეარჩია ხელსაყრელი მომენტი და 1177 წელს გიორგი მესამეს აუჯანყდა ამირ სპასალარი ივანე ორბელის მეთაურობით. თვით თამარის მეფობა დაიწყო დიდი შინაგანი არეულობით. დიდ-გვარიანი აზნაურები აჯანყდენ და მეფე-ქალს წაუყენეს მოთხოვნილება—ძალაუფლება გადასთავსებოდა. ერთი სიტყვით «აზნაურთა აშლა მეფის წინააღმდეგ და ორგულობა საზოგადო მოვლენა იყო», სწერს ჯავახიშვილი. ერთი მეორეს დაუცხრომლათ ებრძოდა ორი ბანაკი, ორი პოლიტიკური დოქტრინა: ერთს შეიცავდა მეფე და მის ირგვლივ შემოკრებილი მისი მხელენი, მოსამსახურენი, მწიგნობარნი და მდივნები, ერის მთლიანობის დამცველნი, ერთი სახელმწიფო უფლების მატარებელნი. მეორე ბანაკს შეიცავდა გაბატონებული წოდება, დიდ-გვარიანი აზნაურობა, ერისთავები და ერისთავთა-ერისთავნი, რომელნიც მიიღებოდენ ერის დანაწილებისაკენ, კუთხური ბატონობის და მრავალ ხელისუფლებიანობისაკენ. ამ უკანასკნელ ბანაკს მეთაურობდა ჰერეთის ერისთავნიც.

სად იყო რუსთაველი?

ეს ნათლად სჩანს მის პოემაში; ის იყო მეფის მხარეზე, ის იცავს მის პრეროგატივებს, მას უწოდებს «ღვთის სწორს», აღიარებს მეფის თვითმპყრობლობას რომლის წინაშე ყველა თანასწორათ ქვეშევრდომია. ის იდეალათ აყენებს ინდოეთის შვიდ სამეფოს ერთ სამეფოთ გადაქცევას, მეფე სარიდანის

მიერ თავის ნებით უარის თქმას თავის მეფობაზე და ფარსადან მეფის სამსახურში შესვლას ამირმართ. პოეტის პოლიტიკური დოქტრინა სავსებით, ზედმიწევნით ხატავს თამარ მეფის და მისი მოხელეთა მონარქიულ გამაერთიანებელ მიმდინარეობას და ებრძვის დიდგვარიანთა თავდასულობას და პარტიკულიარიზმს. გამარჯვებული თამარის სახელმწიფო აპარატი სავსებით ეწყობა შესაფერ საფუძველზე, რაიცა ასე ჩინებულათ გამოხატულია მაშინდელ თქმულებაში; «ათასათ კაცი დაფასდა, ათათასათ ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარისშვილობა». მართალია შემდეგ ეს დოქტრინა სავსებით დამარცხდა, გაიმარჯვა აზნაურობამ, რომლისაგან დიდგვარიანები იქცურ თავადებათ, ხოლო მცირეგვარიანნი რჩებიან აზნაურებათ. ამით დამარცხდა საქართველო, დაიჭრა ქართველი ერი და ბოლოს თვითველი ეს ნაწილი აღვიგავა პოლიტიკური რუქიდან ნაწილ-ნაწილ, ცალ-ცალკე, მაგრამ მე-11—12 საუკ. ნაციონალურმა იდეამ გადაიტანა დიდი ბრძოლა; მისი მებირალტრეა რუსთაველი და ცხადია ის ვერ იქნებოდა იმავე დროს მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში და კუთხური პატრიოტიზმისათვის მებრძოლი.

მართალია ამ თვალსაზრისით ჩვენი ძველი ისტორია ჯერ არ არის შესწავლილი; მაგრამ რაც უკვე გამოქვეყნებულია, სრულიად საკმარისია ეპოქის დასახასიათებლათ, მაშინდელი სოციალური და ნაციონალური ბრძოლის გასათვალისწინებლათ და რუსთაველის დიადი პოლიტიკური როლის გამოსარკვევათ.

ამნაირათ, რუსთაველი არ იყო დიდგვარიანთა რიგებიდან, არ იყო არც ერისთავი, არც ერისთავთა-ერისთავი. პირიქით ის ამათ ებრძოდა, მათ ბატონობას მეფის ბატონობას უპირდაპირებდა; ის იყო მეფის მოხელეთა რიგებიდან, კარის კაცი, მცირეგვარიანი ან სულ უგვარო, როგორც თამარის მრავალი სხვა ცნობილი კარის კაცები, თავისი ცოდნით, ნიჭით და ვაგებით სხვებისაგან გამორჩეული. ის არის რუსთავისაგან, ან იქ დაბადებული და აღზრდილი, ან იქ დიდხანს ნამსახური. თუ მივიღებთ სახეში ლიტერატურულ ჩვეულებას თავისი პსევდონიმი სამშობლო ადგილით გამოიხატოს, ცხადია პირველი ჰიპოტეზა უფრო სწორია.

ისმება საკითხი: რომელი რუსთავი, ქართლის თუ მესხეთის? ამ საკითხის გამორკვევას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა ავტორის ვინაობის ასახსნელათ. ამ მხრით სრულიად საკმარისია ის რაც ითქვა. სამაგიეროთ მას აქვს დიდი მნიშვნელობა გამოსარკვევათ იმ კულტურული წყაროსი, საიდანაც პოეტი იღებდა თავის განათლებას და რასაც მასზე გადამჭრელი გავლენა ქონდა.

საქართველოს ისტორიიდან სჩანს, რომ მის სავალ გზაზე სხვადასხვა კუთხე სხვადასხვა როლს თამაშობდა. ეს ასეა ყველა ერში, ასე არის ჩვენსშიაც. ქართველი ერის კულტურის მეთაური მოხვლების შემოსევამდე ყოფილა მესხეთი. თითქმის ყველა ცნობილი პოეტი, მწერალი, საეკლესიო თუ საერო მოღვაწე მესხეთიდან გამოსულან. თმოგველი, გ. და



ექვ. მთაწმინდელნი. მხარგრძელები, ხანძელი, ჩახრუხაძე და მრავალი სხვა საზოგადო მოღვაწენი სწორეთ ამ კუთხიდან არიან. ქართლი და კახეთი პერეტი სავსებით ჩამორჩენილი ყოფილა. ისინი კულტურულ როლს თამაშობენ მხოლოდ შემდეგ, როცა ბიზანტია დაიქცა, მესხეთი დავარდა და ცენტრი გონებრივი განვითარებისა გადაიწია სპარსეთისაკენ.

რით აიხსნება მესხეთის ასეთი დაწინაურება? აიხსნება მისი გეოგრაფიული მდებარეობით. ის ეკვროდა ბიზანტიის იმპერიას, მასზე გადადიოდა მრავალი საერთაშორისო გზები დასავლეთიდან აღმოსავლეთში; ის იღვა, მაშასადამე, მიმოსვლის და აღებ-მიცემობის შარა გზაზე და განიცდიდა უცხოეთის პირდაპირ გავლენას. ქართლში მხოლოდ ერთი გზა მიდიოდა დასავლეთიდან, ფოთიდან თფილისზე, სპარსეთში; ხოლო სამცხე კი დასერილი იყო ასეთივე გზებით (ბათომიდან, ხოფიდან, რიზედან, ტრაპიზონიდან, სივასიდან და სხ.). მესხეთი იყო ჩვენი კულტურის აკვანი და აქედან ეფენებოდა ის მთელ ერს, პირველ ყოვლისა თფილისს. თამარის უახლოესი თანამშრომელი მესხნი იყვენ. ამიტომ საშუალოდ ბუნებრივია, რომ ჩვენი დიდი პოეტი ყოფილიყო მესხეთიდან, როგორც დასკვნა კულტურის მთელი განვითარების და მისი აპოთეოზი. სხვა, ჩამორჩენილ თემებს, არ შეეძლოთ მოეცათ ასეთი დიდი პიროვნება. ეს იქნებოდა სასწაული, რაიცა ისტორიაში არ ხდება. ხალხის სავალი გზა მტკიცეთ ისაზღვრება ერთიმეორე მომდევნო პერიოდებით.

რუსთაველის მესხური ჩამომავლობას ამტკიცებს პოემის ბოლოსიტყვაობა, სადაც სწერია: «ვსწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთავისა დაბისა». დაუშვათ მთელი ამ დასასრულის შეთხზვა მიმბაძველის მიერ, როგორც ამას ზოგიერთნი ფიქრობენ. ამ შემთხვევაში ჩვენ წინ დგას მხოლოდ უძველესი მოწმე, რუსთაველის მომდევნო პიროვნება, რომელმაც იცოდა ან უშუალოთ ან გადმოცემით პოეტის მესხური ჩამომავლობა. მაგრამ დასაშვებია მთელი ბოლოსიტყვაობის გამოგონება? როგორც ზემოთ ვთქვით, საშუალო საუკუნოებში წესათ იყო შემოღებული წერის სისტემა: შესავალი, მოთხრობის განხილვა და დასკვნა. ეს წესი შემდეგ შეკლებშიც შემოიღეს, რაიცა გრძელდება დღევანდლამდე. რაკი თხზულებას ქონდა წინასიტყვა, უქვევლათ მას უნდა ქონებოდა უკანასიტყვა. ავტორის ვინაობა იხსენიებოდა ან ერთ ან ორივე ალაგას. პოემის დასასრული, მაშასადამე, თავისთავათ, ფორმალურათ არ ამბობს მის სიყალბეს; გაყალბებულია მხოლოდ შინაარსი, რაიცა ეწინააღმდეგება შესავლის შინაარსს, როგორც ეს ვთქვით ჩვენს ბროშიურაში ამ საკითხზე. ექვებს იწვევს არა პირველი ტაეპი, სადაც ავტორის ჩამომავლობა მოხსენებული, არამედ შემდეგნი სადაც გვარაიან ავტორულათ არის მოხსენებული მთელი პოემა (ტაეპი მესამე).

უდაო ტაეპის ბოლო სტრიქონს სხვადასხვანაირათ სწერენ დღეს: «მე რუსთავისა და მისა», «მე რუსთველისად ამისა», «მე რუსთველისსად ამისა» და სხ. ეს ვარიაცია გამოწვეულია ალბათ იმ მოსაზრებით, რომ რუსთავი სოფელია და არა დაბა და მაშასადამე პირველი ფორმულა ყალბია. ნამდვილათ კი სწორეთ ეს ფორმულაა სწორი იმავე მოსაზრებით, რითაც მას უარყოფენ. ჯავახიშვილის ცნობით ძველათ მე-6—9 საუკ. სოფელი ეწოდება ქვეყანას, ხოლო სოფელს ეწოდება დაბა. მე-12 საუკ. ეს ჩვეულება დაკარგულია და ხმარებაში შემოდის თანამედროვე ტერმინოლოგია, მაგრამ რუსთველი ხმარობს ძველ ტერმინოლოგიას, ალბათ პოეტური მოსაზრებით. მას მრავალ ალაგას აქვს ნახმარი სოფელი, სოფლისა, სოფლად და სხ. ყოველთვის ერთი და იგივე შინაარსით—ნიშნავს ქვეყანას, სააკაოს. ის ერთათ ერთი ტაეპი, სადაც ნახმარია «სოფლები» ახლანდელი მნიშვნელობით, ბ. აბულაძეს შეტანილი აქვს სხოლიოში, როგორც საექვო, რაც ბ. ქიქინაძეს უქვევოთ გამოუცხადებია. ეს ვარიაცია, რასაკვირელია, ყალბია (1338).

სავსებით არარუსთველურია ზოგ გამოცემაში შეტანილი «თემისა», ნაცვლათ «დაბისა». პოეტს ეს სიტყვა ნახმარი აქვს რამდენიმე ალაგას აღსანიშნავათ არა სოფლის, არამედ ტომის: «დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად»; ე. ი. თემი ნათესაური ერთობაა და არა სოფლური.

რაკი პოეტი ძველებური ტერმინით აღნიშნავს ქვეყანას, ცხადია ასეთივე ძველებური სიტყვით უნდა აღნიშნა სოფელიც, რომ არ მომხდარიყო სიტყვების შერევა და გაუგებრობა; ამიტომ თავისი სოფელი რუსთავი უნდა აღნიშნა მას სიტყვით დაბა.

გოგნია ავტორის ვინაობა საკმაოთ ნათელია. ის არის შვილი კულტურული მესხეთის, გაბატონებული წოდების მოწინააღმდეგე და ერთმეფობისათვის მებრძოლი, ნაციონალური მთლიანობის მებარიადე, სახელმწიფო შენობის დამწყობი არა გვარისშვილობაზე, არამედ ნიჭზე და პირად დამსახურებაზე. ის იყო წინამორბედი იმ სახელმწიფო მოძღვრების, რომელიც საფრანგეთში განავითარა ბოსუეტმა მეფობის ღვთიურ წარმოშობაზე (მე-17 ს.) და დაუდვა საფუძვლათ ფრანგთა გამარჯვებულ მონარქიას. ჩვენსში დამარცხდა რუსთველიზმი პოლიტიკურათ, ე. ი. დამარცხდა დროშა ფეოდალიზმის ამოგდების და ნაციონალური მონარქიის დამკვიდრების. ეს მოძღვრება დარჩა ხმად მალადებელისა. დავგრჩა პოემა, ეს უდიდესი წყარო ნაციონალური პოეზიის, სიბრძნის და აზროვნების...



რას სწავრან სომხური გაზეთები

მეტად საგულისხმიერო წერილებია დაბეჭდილი უცხოეთის სომხურ გაზეთებში, განსაკუთრებით ბოლო დროის ნუმერებში, რომლებიც ეხებიან სომხებთან ერთად მათ მეზობლებს, კავკასიელთა ურთიერთობას, მათ საგარეო ორიენტაციას და აყენებენ საკითხებს, რომელთა სწორ გაგებასა და დაფასებაში დაინტერესებულნი არიან მთელი კავკასიის მკვიდრნი. ჩვენ ქვემოთ გავაცნობთ მკითხველს ამ წერილებს სრულიად უკომენტარიოდ, ხოლო შემდეგ ნუმერში გამოვსთქვამთ ჩვენს შეხედულებას.

I. სამბუკთა ახალი კონსტიტუცია და საზღვრები.

«ახალ ხოსკ» (გამოდის სოფიაში), 25 დეკემბერი 1936 წ., წერილი სათაურით «უფლება აყრილი სომხეთი»: «შეიძლება ქვეყნიერების მეექვსედი ვერაფერს მოიგებს სტალინის კონსტიტუციიდან, ხოლო სომხის ერი და სომხების სამშობლო ძლიერ დაზიანდება და დაზიანდა კიდევ. ნახიქევანის, ახალქალაქის, მთიან განჯის და ყარაბახის შეერთება მშობლიურ ტერიტორიასთან ყველას ჩვენი ყურადღებას იპყრობდა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. თვით კავკასიის არასომხის შეგნებული ელემენტები აღიარებდნენ სომხების უდავო უფლებას ამ მიწებზე. არ ყოფილა ერთი სომხი, რომელსაც უარი ეთქვას ამ თავის სასიცოცხლო და წმინდა უფლებებზე. თვით ხანჯიანები თავის სიკვდილით ცდილობდნენ ამ მისწრაფების განხორციელებას.

მოსკოვმა კი პირიქით თავის ახალი კონსტიტუციით სამუდამოდ გადაჭრა ძველი სადავო საკითხი სომხეთის საზიანოდ. 17516 ოთხ. კილ. სომხის მიწისა ჩამოეჭრა სომხეთს და შეუერთდა საქართველოს და აზერბაიჯანს. ამიერიდან აღარ არსებობს «დავა» ამიერ-კავკასიაში, რადგან ახალი კონსტიტუცია კანონია და ეს კანონი ამტკიცებს სომხეთის უფლებობას. მაგრამ საკითხი მართო ტერიტორიით არ ამოიწურება. ახალმა კონსტიტუციამ წაართვა სომხეთს 257,276 შვილი და დაუმორჩილა ისინი იძულებით საქართველოს და აზერბაიჯანის ხელისუფლებას. მაშინ როდესაც იმ მძიმე გაქირვების შემდეგ, რომელიც გამოიარა სომხეთმა უკანასკნელ ათეულ წლებში, 17516 ოთხ. კილ. ტერიტორიის შეერთება მცირეოდენი ნუგეში იქნებოდა. მეტიც: არა მართო ამიერ-კავკასიის სომხები ისარგებლებდნენ ამას, ჩვენ შეგვეძლო ამ მიწებზე დაგვებინავებია ნაწილი უცხოეთში მყოფ სომხებისა. ამით ხელს შეუწყობდით არა თუ ჩვენი ერის კულტურულ და სამეურნეო წარმატებას, არამედ ჩვენი ეროვნული თავდაცვის საქმესაც. მაგრამ აი სტალინის «გენიალური ნაწარმოები» მძიმე ულოად აწვება სომხეთის უფლებას და პირდაპირ მის გულს. ეს ლოდი დააწვება სომხის გულს, ხოლო თვალს აუხელს იმათ, რომლებიც დაქინებით გამოელიან მოსკოვისაგან სამართალს».


«არაჩ», 1936 წ. 25 დეკემბერი, წერილი ს. ვრაცი-

ანისა სათაურით «კონსტიტუცია დამტკიცებული»: «... ახალ კონსტიტუციაში სომხეთის საზღვრები დატოვებულია შეუცვლელად—ყარაბახი და ნახიქევანი რჩება აზერბაიჯანს და ახალქალაქი საქართველოს. ხანჯიანის სისხლმაც ვერ უშველა საქმეს. ამ ტრაგიულ მოვლენას ორი მხარე აქვს. ერთია—რეალური შესაძლებლობა საზღვრების გასწორებისა, რის შესახებ ილუზიები არ უნდა გვქონოდა. ექვი არ იყო, რომ გაიმარჯვებდნენ სტალინი და ბერია, და თუ მართალია, რომ ხანჯიანმა თავი მოკლა სხვათა შორის სომხეთის საზღვრების გამო, —საცოდავი შავში—მდივანი თავის გულუბრყვილობის მსხვერპლი გამხდარა. მეორე მხარე უფრო ფსიქოლოგიურია და გვენება ჩვენ, მათ ვინც ვალდებულნი არა ვართ სტალინის ფენის ხმას ავყვეთ და შეგვიძლია საკუთარი მსჯელობა გვქონდეს და თვისუფლად გამოვსთქვათ კიდევ. ვლადპარაკობ უცხოეთში მყოფ სომხებზე და მათი პოლიტიკური აზრის შესახებ. რა გავაკეთებ ჩვენ, რომელთაც თავი მოგვაქვს თავისუფალი სომხური პოლიტიკური აზრის გამოხატვლად? სამწუხაროდ არაფერი, ან ისე მცირე, რომ შეიძლება ითქვას—არაფერი... «მეტად მტკიცნეულია ეს, ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ როცა სტალინმა სომხეთის მიმართ გადადგა უსამართლო ნაბიჯი, სომხის ერი არ აღუდგა ამას ჯეროვანად. აქ უცხოეთში მთელი აღიქოთი უნდა გამოგვეწვია ამის გამო, ჩვენ ეს არ ვქენით».

«აირენიკ» 1937 წ. 1 იანვარი, მეთაური: «გასული წელი სომხებისთვის იყო მშვიდობიანი, ხოლო უხერიო. ყველაზე უმძიმესია ჩვენთვის სამბუკთა ახალი კონსტიტუცია: სომხეთის, რომელსაც ბევრი რამ ჰქონდა დაკარგული ტერიტორიალურად და სამეურნეო დარგში, გადატონებულმა ქართველთა ხროვამ თავს მოახვია ახალი კულტურული შენღუდვები. სამწუხაროდ უცხოეთის სომხობამ ვერ მოახერხა საერთო პროტესტის გაგზავნა სამბუკთა ხელისუფლებისათვის».

იგივე გაზეთი, 1937 წ. 12 იანვარი, მეთაური: «ვიდრე სომხეთისაგან მის შემდგენელ ნაწილების უსამართლო წაღეჯით და საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის მიკუთვნებით შელახული იქნება ჩვენი საარსებო ინტერესები, ვიდრე ეს საკითხები არ მოწესრიგდება სომხების საკეთილად, ისინი დარჩებიან ეროვნულ სასიცოცხლო საკითხებად ჩვენთვის, მუდამ აღაშფოთებენ ყველა ქვეშაბრტის მამულიშვილს და აღძრავენ ჩვენს თავისუფლების-მოყვარე მასებს სომხეთის მიმართ ჩადენილ შეუწყნარებელ უსამართლობის გასასწორებლად, რაც შეიძლება მოკლე დროში».

იგივე გაზეთი, 15 და 16 იანვარი: ლაპარაკობს სომხეთის ახალი კონსტიტუციის შედგენის გამო და სვამს კითხვას: «სად და როგორ კრებანე უნდა დამტკიცდეს სომხეთის კონსტიტუცია, სად უნდა გამოირკვეს, რომ მართლა «კეთილი სურვილით და სრული თანასწორობის საფუძველზე» დაიშალა ამ-



კავკასიის ფედერაცია და სომხეთის მიწები გახდა ლუკმა ქართველ ნაციონალისტების გაუმადლარ მადლისა?»

II. ორიენტაციის საკითხი.

«აირენიკი», 1936 წ. 24 დეკემბერი: «მთიელთა, თათართა და ქართველთა ცნობილი ორგანო «კავკაზი», რომელიც ბედკრული «პრომეთეს» შვილობილია, ნაფიქრის ნუმერის მეთაურში არკვევს თავის ორიენტაციას და აკეთებს საინტერესო აღსარებას. «კავკაზი» უკვე აღარ მალავს თავის თურქოფილურ ტენდენციებს. ეს სრულებით ახალი არაა ჩვენთვის. წინა დღე დაიწყებოდა უარყოფდა თურქოფილობას, ახლა კი ნიღაბი აიხდა. «კავკაზი» ვერ დაგვარწმუნებს, თუ რუსეთმა რატომ აუცილებლად უნდა გადააქციოს კავკასია რუსეთის გუბერნიად და პირიქით, თურქეთი არ ეცდება გადააქციოს იგი თურქეთის გუბერნიად. ვერ ამტკიცებს იმასაც, თუ კავკასიის ერები რატომ უნდა იყვენ ყოველ პირობაში აუცილებლად რუსეთის შეურიგებელი მტრები, ზოლო უნდა იყვენ ერთგული და მხურვალე მეგობრები თურქეთის. ვიტყვი მეტსაც: «კავკაზი» ვერ არკვევს, თუ რა გარანტია არსებობს, რომ თურქეთი არასოდეს მოინდომებს თავისი მიძიმე რკინის ხელი დაადვას კავკასიას, და რუსეთი კი აუცილებლად დაადებს. თურქეთი დაინტერესებულია კავკასიის დამოუკიდებლობის არსებობაში. ეს უბრალო მოსაზრებაა. 1918 წელსაც ბევრი კავკასიელი ფიქრობდა ასე და ღრმად მოტყვილდნენ. რუსის ჯარმა დასტოვა თუ არა კავკასია, თურქეთმა ბრესტილიტოვსკის ხელშეკრულების წინამდებ გამომიშქრა კავკასიაზე და ბაქოში დაიკავა. და ეს ჩაიღინა მაშინ, როცა ამ.კავკასიის სამმა ერმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა».

იგივე გაზეთი 25 დეკემბერი, წერილი სათაურით «რუსეთთან და თურქეთთან»: «... «კავკაზი»-ის თურქოფილებს შესაძლებლად მიაჩნიათ დამოუკიდებელი კავკასიის არსებობა, თუ თურქეთი იქნება ამის მომხრე და რუსეთი კი—წინამდებელი. პირადი სურვილი ობიექტივურ სინამდვილე მიუღიათ და ამიტომ აკეთებენ ცრუ დასკვნას. ივიწყებენ, რომ თურქეთი რუსეთთან შედარებით მეტად მცირე სახელმწიფოა, და თუ კავკასიის ერებს არ შეუძლიათ იყონ თავისუფალი თურქეთის უნებურად, მით უფრო ვერ იქნებიან რუსეთის სურვილის წინამდებ. თუ რუსეთი მოისურვებს, კავკასიელებს ექნებათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თუნდაც ამას წინააღმდეგ თურქეთი. კავკასიელ თურქოფილებს არ სჯერათ, რომ რუსეთი როდისმე თავისუფლებას მიანიჭებს კავკასიას. უდავოა, არც ბოლშევიკური და არც ცარისტული რუსეთისაგან ეს მოსალოდნელი არაა... მაგრამ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი განთავისუფლდება თავის წითელ დესპოტებისაგან და შეიქმნება ისეთი დემოკრატიული ქვეყანა, როგორცაა ინგლისი ან ამერიკა. აი მაშინ, საფიქრებელია, თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთი სხვანაირად მოეპყრობა კავკასიის ერებს და შესძლებს მისცეს მათ ისეთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, როგორცაა

სარგებლობენ ბრიტანეთის იმპერიაში ირლანდია, კანადა და სხ., ან დაუთმოს მათ ისეთივე უფლებები, როგორც აქვთ ეგვიპტეს, ერაყს. კავკასიის თურქოფილებს არ უნდათ ამ ბუნებრივი და ლოგიკური შესაძლებლობის დანახვა, რადგან სძულთ რუსეთი და ყოველნაირად უნდათ მისგან ჩამოშორება, რათა პირში ჩაუვარდნენ თურქეთს. ეს ვაებატონები ღრმად ცდებიან: თურქეთს კიდევ რომ სურდეს, ვერასდროს შესძლებს რუსეთის ნების წინამდებ ხანგრძლივი დამოუკიდებლობა მისცეს კავკასიას. მათ ავიწყდებათ, რომ როდისმე თურქეთი გახდება მსხვერპლი ისეთი ძლიერ სახელმწიფოთა მისწრაფების, როგორცაა იტალია და გერმანია, რომელნიც გადააქცივენ თურქეთს მეორე ეთიოპიად, მიუხედავად ყოველი მისი შეიარაღებისა».

იგივე გაზეთი, 8 იანვარი: «თავისუფალი და დამოუკიდებელი ერის მცნება არ გამორიცხავს თანამშრომლობას სხვა ერებთან, არ ნიშნავს იმას, რომ ერებმა არ უნდა შეკრან თავისუფალი სამხედრო კავშირები უკეთესი თავდაცვისთვის გარეშე მტრებისაგან... სომხეთსაც სჭირია ისეთი ძლიერი მოკავშირე, რომელიც საჭიროების დროს დაიცავს მას იმგვარი მტაცებელი მეზობლისაგან, როგორცაა მისთვის თურქეთი. მაგრამ ეს მოკავშირე უნდა იყოს ისეთი ძალა, რომელიც თავის მხრით არ უნდა გადაიქცეს მეორე მტრად და თავის რკინის ქუსლით არ დაჩაგროს სომხის ერი. პირიქით იგი უნდა დაეხმაროს სომხეთს—დადგეს ფეხზე, იასროს და იმოქმედოს თავისუფლად, თავის სურვილებისა და ინტერესების მიხედვით, როგორც ეს ხდება ეგვიპტესა, ერაყსა და ირლანდიაში ინგლისის მფარველობის ქვეშ. სომხეთი დღეს მოსკოვის უღელს ქვეშ იმყოფება და ეს უცხო ძალა, რომელიც მოწოდებულია მის დასაცავად გარეშე მტრისაგან, ყოველს უწინარეს ახშობს ჩვენი ერის ხმას და სპობს ყოველს მის თავისუფლებას. და როდესაც ვამბობთ, რომ საფრთხის დროს იძულებული ვიქნებით, საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დავდეთ, რათა მოვიგერიოთ ჩვენი საშინელი მტერი—თურქეთი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა დავხმაროთ რუსეთს, როცა იგი გვჩაგრავს, გვძარცვავს, გვახშობს და გვიმონებს».

იგივე გაზეთი, 1937 წ. 28 იანვარი: «სომხის საზოგადოებამ კარგად უწყის, რომ ჩვენი კავკასიელი მეზობლები იმას ცდილობდნენ, რომ ჩვენ დავიციყოთ ჩვენი მთავარი ეროვნული მტერი თურქეთი და უყოყმანოდ შეგვერთდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინამდებ, რომელიც ვითომდა ერთადერთი მტერია კავკასიის ერების. ბედკრულ «პრომეთეს» და «კავკაზი»-ის გარშემო შემოკრებილი კავკასიელები არა თუ არ ფარავდნენ თავის სიმპატიებს თურქეთისადმი, არამედ ეძებდნენ მის მეგობრობას და დახმარებასაც კავკასიის ჩამოსაშორებლად რუსეთისაგან. ბუნებრივია, რომ ამ ნიადაგზე დამნაჯცუტუნის პარტიას არ შეეძლო კონტაქტი დაეკავებია კავკასიის ეროვნულ-ნაციონალურ ორგანიზაციებთან და იძულებული იყო, ყოველთვის მიეთითებია მათთვის ის საშინელ საფრთხეზე, რომელიც ემუქრე



ბა კავკასიის სამხრეთით, და მოითხოვდა ყველა კავკასიელ ერისაგან ერთი ფრონტის შექმნას თურქეთის წინააღმდეგ, თუ მათ უნდათ, რომ როდისმე შესდგეს ერთი კავკასიური ფრონტი ჩრდილოელი მტრის წინააღმდეგ. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს «ქართველ-სომეხთა უნიონის» დაარსებას და ამბობს, რომ ეს ერთობა არა ჰგავს სხვებს, რომელნიც მიმართული არიან მხოლოდ საბჭოების წინააღმდეგ. «სომეხ ქართველთა უნიონს აქვს უმთავრესად ანტი-თურქული ხასიათი».

«აირენიკი» 1937 წ. 23 იანვარი, წერილი «თურქეთის ახალი სიმღერა»: როგორც მკითხველებმა უწყიან, ალექსანდრეტის საკითხის გამო იქაურმა სომეხებმა მხარი დაუჭირეს თურქებს. ამ გარემოებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ანკარაში და ისეთი აზრიც კი გამოითქვა, რომ შესაძლებელია შეცვლა სომეხ-თურქთა ურთიერთობისა. ზემოდ დასახელებული წერილის ავტორი სკვტიკურად უყურებს ამ მოვლენას და ამბობს: «თუ თურქებს მართლა გულწრფელად უნდათ სომეხების მეგობრობის მოპოვება, მათ ყოვლის უწინარესს საქმით უნდა დაამტკიცონ, რომ ერთხელ და სამუდამოდ უარს ამბობენ თავის სატანურ გეგმებზე სომეხების მიმართ, სინანულს გამოსთქვამენ წარსულისათვის და მზად არიან გამოისყიდონ თავისი ცოდვები—დაუბრუნონ სომეხთს, რაც წაართვეს».

III. სომეხების დევნა.

«აირენიკი» 1937 წ. 14 იანვარი, წერილი ათანისა, სათაურით «დატუსაღებულ კომუნისტების და ლიტერატორების საქმე»: «ბერიას სომეხურ გაზეთში (ხორთრდანი ჰაიასტან), რომელიც ერევანში გამოდის, დაბეჭდილია აღვირაშვებულ ქართველ შოვინისტების ერთ-ერთ ლაქიის ამატუნის (ხანჯიანის მემკვიდრე, სომეხთის ც. კ. მდივანი) სიტყვა. წარმოთქმული სომეხთის ც. ა. კ-ის ხსენებით. ეს სიტყვა, რომელიც შედგენილია ბერიას ქართველ მდივნების მიერ ტფილისში, თუ თავსებით არ აშუქებს დევნებს სომეხთში, რომელთაც ადგილი აქვთ ახლა, მაინც იძლევა ზოგიერთი ახალს და დამატებითს ცნობას. მთავარი ოფიციალური გამოცხადება სომეხთის მთელ რიგ ცნობილ კომუნისტის და ლიტერატორის დატუსაღებისა. სამწუხაროდ, რადგან ამატუნის სიტყვაში არ მოიპოვება სრული სია დატუსაღებულთა, არ შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რამდენად ფართოა ქართველ ნაციონალისტების შეტევა საბჭოთა სომეხთზე და მის კულტურაზე». ათანი არკვევს სომეხების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს და ამბობს, რომ არსებითად არავითარი ბრალდება არ არსებობს, რომ დატუსაღებულთა მოქმედებაში არაა ნასახი დანაშაულისა და მანსადამე არც ვინმეა დამნაშავე. «სომხის კომუნისტები, კერძოდ ხანჯიანი და მისი თანამშრომლები, იყვნენ მოსკოვის ნების მორჩილი აღმასრულებელნი, არ შეეძლოთ და არც ჰქონდათ რაიმე მიზნის მიღწევის განზრახვა. ამგვარადვე სომხის ლიტერატორებს არასოდეს დაუტოვებიათ უყურადღებოდ (და ამას ხომ ვერც მოახერხებდენ

მოსკოვის და ტფილისის დირექტივები ლიტერატურის შესახებ და მათი ნაწერები არა ნაკლებად ინტერნაციონალურ-სოციალურ-პროლეტარული იყო, ვიდრე არის ქართული და აზერბაიჯანული მწერლობა. და თუ სომეხები ღირსნი გახდნენ «განსაკუთრებული პატივისა»—ციხეში ჩავდების. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველებმა სტალინიზმა, ორჯონიკიძემ, ელიავამ, ბერიამ და სხვებმა საჭიროდ მიიჩნიეს ეს სომეხთა მიწების გადასაცლავად, სომეხური ელემენტის წონის შესასუსტებლად და ქართულ ნაციონალიზმის დიდი ხნის იდეალის განსახორციელებლად, რომ ქართველებმა იბატონონ ამიერ-კავკასიაში».

IV. კავკასიის ერთობა.

«უსაბერ», 22, 25-27, იანვარი 1937 წ. ამ გაზეთის დასახელებულ ნუმრებში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი რ-სა, რომელიც არკვევს კავკასიის ერთობის ერთობის საკითხს. ავტორის აზრით, გეოგრაფიული მდგომარეობა გადაჭრით ავალებს კავკასიის ერებს, შეერთდნენ და ერთიანობის დახმარებით დაიცვან თავისი არსებობა და დამოუკიდებლობა. ჩვენს წინაპრებს კარგად ესმოდათ კავკასიის მთლიანობა და თავგამოდებით იღწოდნენ ამისთვის. ავტორი ასახელებს დიდს ისტორიულ პირებს სომეხთისას არტაშეს I და ტიგრან დიდს და საქართველოს—დავით აღმაშენებელს და თამარს, რომლებიც ესოდენ ყურადღებას აქცევდნენ კავკასიის ერთსეულობას და მისი საზღვრების სიმტკიცეს. სამწუხაროდ დღევანდელ კავკასიელებს არა გვაქვს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის მოთხოვნილების შეგნება და ამის შედეგია ჩვენი დღევანდელი უბედურება. ბ. რ. უსაყვედურებს დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელთ, რომ ისინი ვერ აღმოჩნდნენ ღირსეული მემკვიდრენი თავის წინაპრების, მოქმედებდნენ განცალკევებულად, არ დაეხმარნენ სომეხებს, ვერ გაითვალისწინეს, რომ თუ დაიღუპებოდა სომეხთი, ამას მოყვებოდა საქართველოს დაღუპვაც. დამნაშავენი არიან აზერბაიჯანელებიც, რომლებიც თავის თავს სთვლიან თურქებად და არა კავკასიელებად. ისინი მიყვებიან რასულ-ხადეს გზას, რომელიც აცხადებს: «როგორც ყველა გერმანელები შეერთდნენ პრუსიის ზღვას, აგრევე ყველა კავკასიელები უნდა შევიდნენ თურქეთის ზღვაში». არც თუ სომეხები არიან ამ მხრივ უნაკლონი და კერძოდ დაშინაკტუნის პარტია დიდს ყურადღებას არ აქცევდა მთლიანობის შეგნების გაღვიძებას კავკასიელთა შორის.

ავტორი აღნიშნავს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას კავკასიის მიმართ, მაგრამ განა უნდა დავივიწყოთ ის უბედურება, რომელიც განიცადა კავკასიამ თურქეთის მხრით? სად არიან ის ქართველები, რომელნიც სახლობდნენ ტრაპიზონიდან ბათუმამდე? «თურქეთი ისევე საშიშია დამოუკიდებელი კავკასიის არსებობისათვის, როგორც რუსეთი». ამის შეგნებით და მთელი კავკასიის ერების გაერთიანების საჭიროებები არის გამოწვეული ქართველ-სომეხთა «უნიონის» ორგანიზაცია, რომელსაც უნდა

ემსახურებს კავკასიის მთლიანობას და ერთობას და მისი თავისუფლების დაცვას როგორც ჩრდილოეთის ისე სამხრეთისაგან.

ბ. რის მთავარი მოსაზრებანი შემდეგ დებულე-ბებშია გამოხატული: «1) თუ შევიცარია არის გასა-ლები ლათინთა და გერმანელთა ქვეყნების, ხოლო პამირი—ინდოეთის და შუა აზიის,—კავკასიაა გასა-ლები ევროპის, წინა აზიის და აფრიკეთის. 2) კავკა-სია წარმოადგენს ვრცელს სიმაგრეს (ციხეს), რომე-ლიც შემოკრულია ჩრდილოეთით კავკასიის მთე-ბით, სამხრეთით—ტავრის მთებით და აღმოსავლე-თით და დასავლეთით კასპიისა და შავი ზღვებით. იგია მთლიანი შენობა თავის ოთხი კართით—ბითლი-სით და არზრუმით (სამხრეთით) და დარიალით და დარუბანდით (ჩრდილოეთით). თუ ეს ოთხი კარი კარგად დაიკეტა გარეშე მტრებისთვის და დაცულ იქმნა კავკასიელ ერების მიერ, მხოლოდ ამ შემთხვე-ვაში მოიპოვებს თავისუფლებას და დამოუკიდებ-ლობას კავკასია თავის შემადგენელ ნაწილებით. 3) გარეშე სახელმწიფოსთვის, რომელიც ხელში ჩა-იგდებს ამ ოთხ კარს, გახსნილი იქნება ყველა გზები —ჩრდილოეთის მიმართულებით რუსეთის სტეპე-ბისაკენ, აღმოსავლეთით—ირანისა და თურანისა-კენ, სამხრეთით—არაბეთისკენ თვით სუეცის არ-ხამდე და დასავლეთით—ანატოლიისკენ თვით დარ-იანელამდე. აი ესაა იმის მიზანი, თუ რატომ იპ-ყრობდა ეს მხარე განსაკუთრებულ ყურადღებას როგორც ძველი ისე თანამედროვე დამპყრობელ სახელმწიფოების მხრით. 4) დარუბანდსა და დარი-ალზე გაბატონებული რუსული იმპერიალიზმი არა-სოდეს შეურიგდება კავკასიის დამოუკიდებლობას. პირიქით იგი შეეცდება მთელი სიმაგრის დაპყრო-ბას მისი სამხრეთის კარებით—ბითლისისა და არ-ზრუმით, რათა გააფართოვოს თავისი ტერიტორია, წინაპრების დასახულ გეგმის თანახმად. ამიტომ გუ-ლუბრყვილობა იმის ფიქრი, რომ რუსეთი დასთ-მობს კავკასიას და მიიღებს მის განთავისუფლებას, რაიც წინააღმდეგობდა რუსის საუკუნოებრივ მის-წრაფებას და ინტერესებს. 5) კავკასიის სამხრეთის კარები სომხეთის პლატოთი უკავია თურქეთს, რომელიც მიისწრაფის მისი ჩრდილოეთის კარებისაკენ მათი საბოლოო დასაკეტად, რომ ამით გზა გაიხსნას აღმოსავლეთ ირანის, თურანის და სამხრეთ ქვეყნე-ბის. თურქეთი მიისწრაფის თურანისაკენ და ეს მისი მისწრაფება ისე ძლიერია, რომ ახშობს სხვა ყველა ამოცანას და ადამიანობის გრძნობებს. კავკასიელი ერები ამ მისწრაფების წინ დგანან და უნდა მოის-პონ, თუ თურქები არ არიან. საჭირო არაა ამის მტკიცება და ვინც ამას არ ხედავს, იგი ბრმა ან მტერია კავკასიის ერების ფიზიკურ არსებობის. 6) კავკასიამ უნდა იცოდეს, რომ პირველ საერთა-შორისო შეტაკებისთანავე იგი ისე, როგორც ბალ-კანეთი, აუცილებლად გახდება სარბიელი და ცენ-ტრი საომარ მოქმედებათა. გამარჯვების თუ დამა-რცხების გასაღები თვით კავკასიაშია და მისი ერე-ბი, ყველანი გამოუყოლებივც, შეიქმნებიან იმპერია-ლისტურ სახელმწიფოების მსხვერპლნი, თუ რა იქ-ნებიან შეერთებულნი და მათი კარები გაღებული

დარჩება რუსეთის თუ თურქეთის დაპყრობითი მი-სწრაფებისათვის.

«ამგვარად დაქსაქსულ კავკასიის ალაგას უნდა წარმოსდგეს ერთი მთლიანი კავკასია, განთავისუფ-ლებული როგორც რუსეთის ისე თურქეთის ბატო-ნობისაგან, ვინაიდან ამ ორ ძალაში არც ერთს არა აქვს უპირატესობა, ორივე ერთნაირად მტერია კა-ვკასიის თავისუფლების და დამოუკიდებლობის...»

«შეერთება ჩრდილოეთის და სამხრეთის წინამ-დეგ—აი სასიცოცხლო ინტერესი ყველა კავკასიელ ერის. ესაა ერთად ერთი მტკიცე თავდები კავკასიის მშვიდობიანობის, მთლიანობის და უშიშროების. ჩვენი შეხედულებანი არ არიან მიმართულნი რუსე-თისა და თურქეთის წინამდეგ, თუ ამ სახელმწიფო-ების არ ექნებათ კავკასიის მოსაპობის სურვილი...»

მაგრამ რ-ს არ სჯერა ზოგიერთების მტკიცება, რომ თურქეთმა ხელი აიღო თავის პანთურანისტულ მისწრაფებაზე და რუსეთიც თანახმა შეურიგდეს კავკასიაში ბუფერულ სახელმწიფოს არსებობას. ეს უნდა გამოაცხადოს სინამდვილეშო: თურქეთმა უნ-და დასცალოს ყარსის და არზრუმის ციხეები და აღი-აროს მთელი კავკასიის დამოუკიდებლობა, ხოლო რუსეთი უნდა გავიდეს კავკასიიდან არა იმისთვის, რომ იგი თურქეთს გადასცეს, არამედ დაუბრუნოს თვით კავკასიელებს. აი მაშინ არ ვიქნებით ჩვენ თუ-რქეთის და რუსეთის მტრები და ისინი ჩვენი პირ-ველი მეგობრები გახდებიანო,—ასე დაასკვნის ავ-ტორი.

შ ე ნ ე ვ ა შ ი

ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშ-უნიონის მუდმივ კომისიათა ზამთრის სესიად მოწ-ვეულ კრებებს ადგილი ჰქონდა ყენევაში 6 და 7 თე-ბერვალს. შაბათს, აღზღის, ეროვნულ უმცირესო-ბათა და სოციალურ-ეკონომიური საკითხების კო-მისიებმა იმუშავეს, ხოლო კვირას იურიდულ და პოლიტიკურმა კომისიამ დილიდან შუალამემდის დისკუსიაში გაატარა სულ პატარა ინტერვალით უნიონის ბიუროს ადმინისტრატიულ საკითხების მოსაგვარებლად. ბიურომ დაადგინა მომავალი ყრი-ლობა ბრატისლავაში მოიწვიოს.

იურიდულ და პოლიტიკურ კომისიის წესრიგში იყო 8 საერთაშორისო დიდი პრობლემა. საყურად-ღებოა ის წინააღმდეგობათა ქსელი, რომელშიაც ხელმძღვანელი წრეები თავიანთი სიტყვით და მოქ-მედებით სულ უთრო ებმებიან და რომელიც შეუ-წყვეტლად იზრდება: ორიოდ წლის წინად, ერთა ლიგას უნივერსალობა ესაჭიროებოდა, საბჭოთა რუსეთის მიუღებლად მას არსებობაც არ შეეძლო-ეს მიღება აღიარებული იყო ომის ამშორებლად, სამუდამო მშვიდობიანობის დამყარებლად, ცხო-ვრების მომნიჭებლად. ეს ნატურა აუსრულდათ, მაგრამ მშვიდობიანობის სამოთხე ქვეყნიერობაზე არამც თუ არ დამყარდა, პირიქით, ომის საშიშროე-ბა ისე სწრაფად გაიზარდა სწორედ ამ უკანასკნელ ორ წელს, რომ ვინ იცის, სად იფეთქებს... ახლა სწო-



რედ საფრანგეთის ასოციაციის შემოაქვს წინადადება ერთა ლიგის პაქტის რეფორმისა, სადაც ლიგის უნივერსალობის წინამდებე წამოყენებულია შემადგენლობის ხარისხოვანობა, რათა ეს დაწესებულება გაძლიერებულ იქნეს... საინტერესო დისკუსიები გამოიწვია ამ წინადადებად, მაგრამ რადგან ერთი ან არ გამოტანილა და ის ასოციაციებზე ეგზავნება შესასწავლად. ამაზე აღარ შეგჩერდებით.

დიდი კამათი გაიმართა ისპანიის სამოქალაქო ომის ირგვლივ. ამაში საზოგადო აზროვნება ისე საშინლად დაბნეულია, როგორც აბაშეთის საკითხში იყო. დიდ უვიცობაზე დიდი მანევრები და ინტრიგები აშენდა, რომელთა მესაქედ, როგორც მაშინ, ახლაც ბოლშევიკები თავიდანვე გამოვიდნენ. მათ, წინამდებე სხვა წრეების თუ პარტიებისა, კარგად იციან, რა უნდათ და საზოგადო აზროვნების მოტყუება-დამზადებაშიც ძლიერ დახელოვნებულნი არიან, რაშიდაც მათ ხელს უწყობს ნივთიერი განუსაზღვრელი შესაძლებლობა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს საკითხი აქი არა, ბრძოლის ველზე გადაწყდება და გამარჯვებულს ვერვინ დასჯის: ისპანიის გენერლებს საზოგადო აზროვნების მოწყობის არაფერი გაეგებათ—ამ ნიადაგზე ისინი დიდი უვიცები არიან, ხოლო სამხედრო საკითხები კი ესმით კარგად და ხრმლის მხარეზეც ჩინებულად იციან! იბადება ორი მთავარი საკითხი: ვინ უწინ დაიწყო გარეშე ძალაზე დაყრდნობა, ვის მიყვება ან ვის არ ეწინააღმდეგება ერის უმრავლესობა?

ამ მხრით ფრიად საყურადღებოა ხსენებულ კომისიაში გამართული დებატები. ბრიტანეთის ასოციაციის წარმოდგენილი რეზოლიუცია მოითხოვდა ერთა ლიგის საბჭოსაგან ისპანიის სამოქალაქო ომის შესწავლას, რათა შეუძლებელი იქმნეს მომავალში უცხოელთა ჩარევა ქვეყნის შინაგან საქმეებში. ამ პრინციპიალურ წინადადების ბრიტანეთის დელეგაციის მიერ დასაბუთების შემდეგ, საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ბ. ბორელმა ითხოვა, კომისიას მოესმინა ქ-ნ მალა ტერსელიეს სიტყვა: «ის იყო ორივე მებრძოლთა ზონაში, სიტყვა მან, და კარგად იცის მდგომარეობა». განათლებული, შესამჩნევი ორატორი ნიჭით აღჭურვილი, ქ-ნი ტარსელიე წარმოდგენს რადიკალ-სოციალისტების სიამაყეს, რომელთა სახელით ესწრება 15 წლის განმავლობაში სავრთაშორისო კონგრესებს და აქტიურ მონაწილეობას დებულობს ყველა დიდ პრობლემატის დებატებში. ცხადია, ის ისპანიაში წავიდა «ფრონ პოპულერის» ცხარე დამცველად, ხოლო ფრანგ კათოლიკე ქალთა ასოციაციის სახელი მისთვის საჭირო იყო მოგზაურობის გასაადვილებლად (მან გასული ზაფხული საბჭოთა კავშირში, რუსეთში, გაატარა). მოგზაურობის ოფიციალური მიზენი «გაქვივრებულ ბავშვთა დახმარება» იყო «ორივე ზონაში». ხოლო, როგორც თვით განაცხადა, გაქვივრებულები პპოვა მხოლოდ «მთავრობის ზონაში!» «რადგან უმდიდრესი ადგილები აჯანყებულებს უკავიათ; ესენი პირველზე უფრო ძლიერები იმიტომ აღმოჩნდნენ, რომ მათ უცხო სახელმწიფოები ეხმარებიან იმ დროს, როცა მთავრობას არავინ არ ეს-

მარება(?), მას აკლია ყოველივე სამხედრო სურსათი, თოფ ზარბაზანი და სხ., მთელი ხალხი მას მიყვება, იარაღს თხოვლობს საბრძოლველად, მაგრამ მთავრობას არ შეუძლია მისცეს. არ ჩარევის სახელით დიდი უსამართლობა ხდება!» შემდეგ რუსეთის ჩარევის ფაქტი მაინც იცნო—«მხოლოდ საბჭოები დაეხმარნენ და ამისთვის მათი დიდი მადლობელი უნდა ვიყოთ», თუმცა იმავე დროს შეეცადა მიფუჩჩეებას—«ეს დახმარება მართო ტექნიკური იყოვო».

ამ ფრიად მჭერმეტყველურმა, მაგარ საავტიაციო არტისტულად წარმოთქმულმა სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მით უმეტეს, რომ კომისიის დიდ უმრავლესობას «ფრონ პოპულერის» მიმდევრები წარმოდგენდნენ. ასეთ ატმოსფეროში აიღო სიტყვა ისპანიის ასოციაციის წარმომადგენელმა პროფესორმა ფედერიკო რეპარანმა, რომელიც, როგორც საერთოთ პატივცემული პიროვნება, უნიონის ვიცე-თავმჯდომარეა. ის არ არის ორატორი და არც პოლიტიკური მებრძოლი. მან განაცხადა, რომ არავითარი სიმპატიები არ აქვს აჯანყებულ გენერლებსადმი, რომ, პირიქით, მისი მხოლოდ მიზნეველობა ყოველთვის რესპუბლიკანური იყო და მისი გრძნობებიც ამ მხრით არიან მიმართული. მაგრამ ქ-ნ მალატერ-სელიეს სიტყვებში ყოველივე ქუშმარტიების წინამდებე მოყვანილმა ამბებმა თმა ყალყზე დამიყენა იმ ზომამდე, რომ «არ შემიძლია შესწორებები არ შევიტანო საპროპაგანდოთ გამოგონილ ფაქტებში». მან ციფრებით ხელში მოიყვანა ნამდვილი ფაქტები იმის საჩვენებლად, რომ საბჭოთა რუსეთის ისპანიის საქმეებში ჩარევა ხდებოდა წლების განმავლობაში, რომ თებერვალში არჩევნები გაყალბებული იქნა სწორედ ამ ჩარევებით ისე, რომ «ფრონ პოპულერის» 4.356.000 ხმა გადათარგმნეს 256 დეპუტატად იმ დროს, როცა, მის გარედ მყოფ პარტიების 4.910.000 ხმა 217 დეპუტატად, ე. ი. «ფრონ პოპულერმა» 564.000 ხმით ნაკლებმა, 39 დეპუტატი მეტი გაატარა კორტესებში! «თქვენ ბრძანებთ—ეუბნებოდა ის ქ-ნ სელიეს—მთავრობას მთელი ერი მიყვება, მეომარი ბევრი ჰყავს, მხოლოდ იარაღი აკლიაო, ამაზედ გიპასუხებენ შემდეგი ფაქტები: მოსკოვის მთავრობას მოტანილი აქვს ისპანიაში არანაკლებ 300.000 კაცისათვის სავსებით შესაიარაღებლად საომარი მასალა, 350 პაეროპლანი და 250 ტანკი თავიანთი ავიატორებით და ტექნიკოსებით. მე არ უარყვოდ მთავრობის კეთილ სურვილებს. მაგრამ რაკი მან ყოველივე ბნელ ძალებს, საზოგადოების ნაძირალებს იარაღი დაურიგა, ესენი არიან მდგომარეობის ბატონები და არა მთავრობა. ესენი სჩადიან ყოველსავე ბოროტებას ისე, რომ მთავრობა საყვდურის გამოცხადებასაც ვერ გაუბედავს მათ. მათ მოჰკლეს სრულიად განუსჯელად მართო მადრიდში 32.000 უდანაშაულო ადამიანი ივლისიდან დეკემბრამდის. უნდა აღვიარო, რომ აჯანყებულებს ეხმარებიან უცხოელები, მაგრამ უნდა ვიცნოთ ამავე დროს ის ფაქტიც, რომ აჯანყება დაიწყო ამ უცხოელთა დახმარების გარეშე: მხედრებმა შეთქმულება მოახდინეს. ეს ჩაიშალა. მათ

ვერ გაიმარჯვეს, ხოლო ზოგი არსენალი კი იგდეს ხელში. აი საიდან ჰქონდათ მათ იარაღი სამოქალაქო ომის პირველ ხანებში. მოსახლეობა რომ ისე წინამძღვრი იყოს მათი, როგორც ეს ქნა მ. სელიემ დაგვიხატა, 400 კილომეტრს როგორ გაირბენდნენ რამდენიმე კვირაში და ისიც მთავრობის ჯარის წინამძღვრ ბრძოლაში? საქმე იმაშია, რომ ხალხს მოსვენება-უზრუნველყოფა წყურია და ამას ის არ მთელის იქიდან, სადაც მოსკოვის აგენტები ბატონობენა.

უნიონის თავმჯდომარე ბ. ჰანრი როლენმა მადლობა გამოუცხადა და ქებაც შეასხა ბ. რეპარანს იმ ამაღლებულ ფაქტებზე ასეთი ზომიერებით ლაპარაკისათვის და თავის გრძელ სიტყვაში იმ აზრს ამტკიცებდა, რომ აჯანყებულებებსა და «რეგულიარულ და ყველაგან ცნობილ მთავრობას» შორის დიდი განსხვავებაა, მათი შედარება არ შეიძლება, უკანასკნელის დახმარება კანონიერია, შინაგან საქმეებში ჩარევად ითვლება მხოლოდ ამ მთავრობის წინამძღვრ გამოსვლა და აჯანყებულების დახმარება.

ვინაიდან ბ. როლენი გამოჩენილი იურისპრუდენტია და საერთაშორისო სამართლის საკითხში დიდ ავტორიტეტად ითვლება, მისი ასეთი სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ დატოვება იურიდულ და პრლიტიკურ კომისიის პრობლემის გაყალბება იქნებოდა. ამიტომ ხ. შავიშვილმა მას კითხვა დაუსვა: «ბ.ნ. თავმჯდომარე, ეს თქვენი აზრი უცხო სახელმწიფოთა შინაგან საქმეებში ჩარევის შესახებ წარმოადგენს ამ პრობლემისადმი თქვენს პრინციპიალურ განწყობილებას თუ ოპორტუნისტულს? უკანასკნელი შემთხვევა გასაგები იქნებოდა—ეს მთავრობა ჩვენ მოგვწონს, არ გვინდა დამარცხდეს და მას მხარს ვუჭერთო. მაგრამ თქვენ ნამეტანი ხაზი გაუსვით მის «რეგულიარობას» და «ცნობილობას», რის გამო თქვენი აზრი პრინციპიალურ ხასიათს დებულა. ეს კი დიდ საშიშროებას წარმოადგენს. მართლაც, თუ ჩვენ ეს პრინციპიალურად მივიღეთ, ლოდიკურად იძულებული ვიქნებით, ყოველივე მთავრობას დავეხმაროთ თავისუფლებისათვის მებრძოლ ერის დასატუქსავად. განა ყოველივე მთავრობა «რეგულიარული» და «ცნობილი» არაა იმ საერთაშორისო სამართლის ძალით, რომლის სახელით თქვენ ლაპარაკობთ? ამ გზას ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც ჩვენია, ვერ დაადგება, ვინაიდან ეს დიდი უსამართლობა და ყოველივე სოციალურ-პოლიტიკურ პროგრესის წინამძღვრი იქნებოდა. გთხოვ, ბ.ნ. თავმჯდომარე, გაგიმარტოთ თქვენი სიტყვა».

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი არ იყო და თავმჯდომარემ სიჩუმე ამჯობინა.

№ №



გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოგიზავნდეს შემდეგი მისამართით:
M-r PIRTSKALAVA
10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

პოლონური კრისა

ვერედ წოდებული პრომეთეს (ამირანის) მოძრაობა, ე. ი. საბჭოთა ფარგალში მომწყვდულ ერების განმათავისუფლებელი ბრძოლა პოლონეთის საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. ამ საკითხს, სხვათა შორის, ვრცელს წერილს უძღვნის გავრცელებულ კვირეულ «Wiadmosci Literackie»-ში ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი იუსეფ ლობოდოვსკი. წერილს საგულისხმეორო სათაურიც აქვს «ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის» და ამით ამჟღავნებს იმ ინტერესს, რომელიც აქვს პოლონელებისათვის რუსეთის ჩაგრულ ერების განთავისუფლებას.

ავტორის აზრით, «უკრაინის, ყირიმის, კავკასიის, თურქესტანის ერები მიისწრაფიან დამოუკიდებლობისაკენ და რაკი მათ ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება აქვთ, ისინი ადრე თუ გვიან მიიღებენ თავისუფლებას. ერთ-ერთის მათგანის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება ავტომატურად გამოიწვევს დანარჩენების განთავისუფლებასაც. რუსეთმა უნდა მიიწიოს თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებამდე და სამუდამოდ გამოეხოფოს დიდი იმპერიის ოცნებას, დედამიწის მეექვსედი რომ უკავია».

ამ გარემოებას ბ. ლობოდოვსკი მსოფლიო მნიშვნელობას აძლევს. სამუსულმანო აღმოსავლეთი უკვე იღვიძებს და აღორძინებას იწყებს და რუსეთის ჩრდილოეთისკენ დახვევა რადიკალურად შეცვლის საერთაშორისო პირობებს: «უკვე ვერავინ და ველარაფერი შეუშლის ხელს ახლობელ აღმოსავლეთის ერებს შეერთდნენ ერთი თურქულ-თათრულ ფედერაციის სახით».

მაგრამ ცვლილება აქაც არ შეჩერდება. ავტორი ფიქრობს, რომ «შემდეგში შესდგება მუსულმანურ კულტურის სახელმწიფოების ბლოკი, რომელიც უნდა შევიდნენ ირანი, ერაყი და ავღანისტანი. ეს იქნება ძლიერი ტალღა მთელი ისლამის დინამიზმისა და მომაკვდინებელი ლახვარი ევროპის ბატონობისა არა მარტო სირიასა და არაბეთში, არამედ ჩრდილო აფრიკეთსა და ინდოეთში».

ეს მოვლენა გამოიყვანს აზიის ერებს საერთაშორისო პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე და მაშინ იაპონიის პანაზიურ მისწრაფებას მხარში ამოუდგება ძლიერი მოკავშირე კონტინენტის მეორე ნაპირზე. «ევროპა არ ხედავს ამ ამბებს, არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას. იგი მაღლიდან დაცქერის სხვა რასებს, მსჯელობს მხოლოდ ექსპლოატორულ-კოლონიზატორულ თვალსაზრისით და აქამდის ვერ განთავისუფლებულა ძველი მეკობრეების, ბანდიტების და ავანტურისტების მეთოდებისაგან».

მარტო ერთი გერმანიაა, რომელიც უკვირდება და ანგარიშს უწევს დაწყებულს ამბებს და მოახლოვებულ ცვლილებებს. «რუსის სოციალიზმს, სწერს ლობოდოვსკი: შეეძლო აზიის ერების განთავისუფლება და მათი შემოყვანა თანამედროვე ცივილიზაციაში. სამწუხაროდ იგი გადაგვარდა, გაპყვა იმპერატორების კვალს, თავისი საქმე წაავა». დღეს ერთად ერთი ფაქტორი გერმანიაა, რომელიც ცდი-

ლობს სერიოზულად მიუდგეს საკითხს და მიიღოს მონაწილეობა მის გადაჭრაში...

ავტორი ფიქრობს, რომ გერმანიის ჩარევა მავნებელი იქნება უკრაინის და ახლო აღმოსავლეთის ერებისთვის და პოლონეთისთვისაც.

პოლონეთის ზოგიერთ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ წრეებში (ნამეტურ ნაციონალისტურ ახალგაზდობაში) ძალიან პოპულარულია იდეა აღმოსავლეთ და ცენტრალურ სახელმწიფოების ბლოკისა, რომელიც უნდა შეიქმნეს პოლონეთის მეთაურობით და წინააღმდეგს ერთის მხრით რუსეთს და მეორეს მხრით გერმანიას.

ამ შეხედულებას მკაფიოდ გამოსთქვამს ბ. ჩარნეცკი კათოლიკურ «Przegląd Kat.»-ში.

«უეჭველია, წყერს ეს პუბლიცისტი: პოლონეთში საუკეთესო წინადაგია რუსეთთან ანგარიშის გასასწორებლად. პოლონურ სახელმწიფოებრივ აზრის კავშირის საპროგრამო თეზისებში ვკითხულობთ: «ყველაზე უდიდესი ჩვენი ბუნებრივი მტერია რუსეთი», ყოველი რუსეთი—მეფეთა თუ საბჭოების, თეთრი თუ წითელი, ვინაიდან რუსეთს ყოველთვის ამოძრავებს ერთი და იგივე იმპერიალიზმი; ასულდგმულებს ერთი და იგივე დამარდვეელი სული. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ ამ მოსკოვურ საფრთხეს და ამისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ რუსეთის ერების სეპარატისტული, განმათავისუფლებელი მოძრაობა... პოლონეთი მხარს დაუჭერს ამ მოძრაობას, ხოლო ამასთანავე მოძრაობის ხელმძღვანელებმა თავისი ტაქტიკა უნდა შეუთანხმონ პოლონეთის სახელმწიფო ინტერესების მოთხოვნილებას და მათ უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც გააძლიერებს მათი საუკეთესო თავმდებრის (პოლონეთის) პოზიციას და მასთანავე ხელი უნდა შეუწყონ თავის საზოგადოებრივ აზრით, სულიერი განწყობილებით და მოქმედებით აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოების ბლოკის განმტკიცებას, რომელსაც უხელმძღვანელებს პოლონეთი და რომელიც იქნება უდიდეს დამცველ-თავანი რუსეთის ჩაგრულ ერების განთავისუფლებისა.»

ამავე საგანს საყურადღებო წერილს უძღვნის ტადეუშ რადვანსკი ახალგაზდების კურ. «ფსოდ»-ში (აღმოსავლეთი). ავტორის აზრით, პოლონეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა მეტად სასიძვათაა. პოლონეთს დიდი საფრთხე მოეღის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. უკანასკნელი უფრო საშიშია. «ამ გარემოებას პოლონური საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ არ აფასებს. შეშინებულნი გერმანიის საფრთხით, ჩვენ ვივიწყებთ რუსეთს და არ ვიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბოლშევიკურ იდეოლოგიას დიდი დინამიკური ძალა აქვს საგარეო დაპყრობისათვის და გაცილებით აღემატება ამ მხრივ მეფეთა რუსეთის ექსპანსიურ მისწრაფებას. ჩვენ არ ვანგარიშობთ იმასაც, რომ გერმანიის წინააღმდეგ შეგვიძლია მოვიპოვოთ და ვპოულობთ კიდევ მოკა-

ვშირეებს, რომელიც დაგვემხარებინა, არა თუ შევაჩეროთ აქედან მომართული ქარიშხალი, არამედ სამუდამოდ დავამარცხოთ მტერი. მაგრამ ჩვენ ძნელად თუ ვიპოვით რომელსამე სახელმწიფოს, რომელმაც ასევე მოინდომოს «ერთი და მთლიანი რუსეთის» დაქცევა.

ავტორს რუსეთი მიაჩნია ძლიერ მტერად, რომელსაც დიდი სამხედრო პოტენცია აქვს. ამის ბაზას წარმოადგენს რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე, უზრუნველყოფა ნედლი მასალებით. ხოლო ეს ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება ისეთ განაპირებში, როგორიცაა უკრაინა, კავკასია და სხ. და თუ რუსეთს ჩამოშორდება ეს განაპირები, მაშინ იგი აღარ იქნება სრულეობით საშიში მტერი.

ამიტომაც პრობლემის იდეოლოგია, არაა გამოწვეული რაიმე სანტიმენტალურ გრძობით, არამედ ემყარება თვით პოლონეთის რეალურ ინტერესებსა.

საქართველოს ამბები (გაზეთებიდან)

საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა გამოსცა სამ აღბრძოლად ირანულ მე-18 და 19 საუკ. მინიატურების და მხატვრობის ნიმუშები.

— ტფილისის საოპერო თეატრს ეწოდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრი.

— კონტრ-რევოლუციონერობისა და ტროცკისტობისათვის გასამართლებას უპირებენ ბ. მდივანს, მ. ტოროშელიძეს, პ. აღნიაშვილს, მ. ოკუჯავას, ს. ქავთარაძეს, ბ. კვიციანიას, ლ. ლოლობერიძეს, ნ. კიკნაძეს, ვ. ჯიქიას, კ. მოღობაძეს და სხ.

მ. წაჩაბის ხსოვნის აღნიშვნა

ამა წლის 7 თებერვალს, პარიზში სამეცნიერო წრის თაოსნობით და პროფ. ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა კრება გიორგი წერეთელის ხსოვნის პატივსაცემად.

მოხსენებანი წაიკითხეს მ. მელუამ, რ. არსენიძემ და ი. მანუკაძემ და მოგონებანი—ექ. თაყაიშვილმა, რომლებიც საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა. დასასრულ ს. ბერეჟიანმა მეტად მოხდენილად წაიკითხა ადგილები გ. წერეთელის მოთხრობიდან «კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა».

სასურველია, ასეთი კრებები რაც შეიძლება ხშირად იმართებოდეს და ჩვენს ემიგრაციას საშუალება მიეცეს გაიხსენოს და გაეცნოს ჩვენი მწერლების ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ქართველები საფრანგეთში

კვირას 21 მარტს შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა ახალი გამგეობა: თავმჯდომარედ ბ. ვახტანგ ლამბაშიძე, წევრებად—ბ.ბ. აბდუშელიშვილი, ქავთარაძე, ასათიანი, ურუშაძე, ყიფიანი და ქყონია.